საქართველოს საჯარო ბიბლიოთეკა
ტფილისი
ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 97
მაისის 4, კვირა 1903 წ.
1877

ივერია

№ 97
მაისის 4, კვირა 1903 წ.
1903

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

პირველ მაისიდან წლის დამლევამდე
გაზ. „ივერია“
ჰღირს 7 მან. 25 კაპ.
გაზეთის „ივერიის“ ფასი თვეობით 12 თვით—10 მან., 11 თვით—9 მ. 50 კ., 10 თვით—8 მ. 75 კ., 9 თვით—8 მ., 8 თვით—7 მ.25 კ., 7 თვით—6 მ. 75 კ., 6 თვით—6 მ., 5 თვით—5 მ. 50 კ. 4 თვით—4 მ. 75 კ., 3 თვით—3 მან. 50 კ., 2 თვით—2 მ. 75 კაპ., 1 თვით—1 მან. 50 კაპ.

კნ. ელისაბედ ნიკოლოოზის ასული ბაგრატიონ მუხრან-ბატონისა მწუხარებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთა გარდაცვალებასა ძვირფასის მეუღლისა თვისისა **თავადის კონსტანტინე ივანეს ძის**

ბაგრატიონ მუხრან-ბატონისას 2 მაისს.

პანაშვიდები გადახდილ იქმება ყოველ დღე საკუთარს სახლში ლორის-მელიქოვის ქუჩაზე, დღისით 1 საათზე და საღამოს 8 საათზე. დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.

კავკასიის ნატურალური კონიაკი
დ. ზ. სარაჯიშვილისა
ტფილისში
საწყობნი: ს.-პეტერბურგს, მოსკოვს და ვარშავას. უმთავრესი კანტორა ტფილისში, ოლგის ქუჩა, საკუთარი სახლი. (50—6—16)

ჟირარდის მანუფაქტურის საქციონერო საზოგადოების
საწყობში
ტფილისში, სასახლის ქუჩაზე, სათავად-აზნაურო სახლში.
მიღებულია საქონელი საზამთრო სეზონისთვის ფლანელი, ვიგონი, ბაიკისა, შოტლანდიისა, აბრეშუმისა და შალის საბნები, პლედები და შალები, წინდა-ჩულქები, პაიჟები, თბილი ფუფაიკები და პერანგის-ამხანაგები.
Crèpe de santè და ნაძვისა
კაცისა და ქალის თეთრეული. სრული მზითევი. ტილოსი და მიტკლისა, კლეონკები, სხვა-და-სხვა ფერის ტილოს სუფრები და ლინოლეუმი.
პრეისკურანტი მსურველთ უფასოდ გაეგზავნებათ.
(100—55)
დონერ—ლეიფცი.

მოწოდება

მეექვსე საუკუნეში ქრისტეს დაბადების შემდეგ ღვთის მშობლის წილხდომილს, ჩვენს სამშობლოში მოევლინნენ, ღვთის ბრძანებით და განგებით, ათორმეტნი ღირსნი მამანი სირიიდგან; ამ წმიდა მამებმა დიდი ღვაწლი დასდეს ჩვენს სამშობლოს,—განავრცეს და განამტკიცეს მასში ქრისტეს ჭეშმარიტი სარწმუნოება თავიანთი ქადაგებით, მოღვაწეობით, წმიდა ცხოვრებით და სასწაულებით.

ერთი ამ წმიდა მამათაგანი,—ყვავილი სიმშვიდისა და მოთმინებისა,—ღირსი პიროსი მოღვაწეობდა ქართლში, სოფელ ბრეთში; ბევრი იშრომა და იღვაწა ღირსმა და ღმერთშემოსილმა მამა—პიროსმა, ბევრნი გამოიხსნა საუკუნო ბნელისაგან და მოაქცია სინათლისკენ. სასწაულთ-მომქმედი ნაწილები ამ წმიდა მამისა დაკრძალულია ს. ბრეთის წმ. გიორგის ეკლესიაში, რომელიც აღშენებულია მეშვიდე საუკუნეში. ჰყვაოდა და ჰბრწყინავნავდა ოდესმე ეს წმიდა საყოფელი ღირს მამის სასწაულთ-მომქმედ ნაწილთა „სიმშვენიერით და მორთულობით, გარნა ეხლა ეს ეკკლესია დაძველებულია და საჭიროა მისი საფუძვლიანად განახლება. სოფელ ბრეთის მრევლი დიდი ხანია მოწადინებულია განაახლოს წმ. გიორგის ეკლესია, მაგრამ ხელმოკლეობის გამო ვერ შესდგომია ამ დიდს და ღვთის სათნო საქმეს.

ამისათვის მრევლთაგან შემდგარი და უმაღლესი სასულიერო მთავრობისაგან დამტკიცებული კომიტეტი უმორჩილესად სთხოვს ყველა ქრისტეს მოყვარე ქველმოქმედთა და საქართველოს სიძველეთა მოყვარულთ, შეძლების დაგვარად, აღმოუჩინონ კომიტეტს შემწეობა და დახმარება ბრეთის წმ. გიორგის ეკკლესიის განახლებაში; ყოველივე შემოწირულება დიდის მადლობით იქნება მიღებული კომიტეტისაგან და ეკკლესიის კრებული ილოცავს შემომწირველთა სადღეგრძელოდ.

შემოწირულება მიიღება შემდეგის ადრესით:

Комитету по ремонтировкѣ Бретской Свято-Георгіевской церкви въ сел. Брети, Горійскаго уѣзда.

Въ г. Гори, Его Сіятельству полицейскому Приставу Бардзиму Кайхосровичу Авалову.

გორში, გორის სასულიერო სასწავლებლის ინსპექტორს მღვდელ-მონაზონს **პიროსს**.

და ტფილისში „ივერიის“ რედაქციაში.

კომიტეტის წევრი—საქმის მწარმოებელი
ივანე გიორგის ძე ავალიშვილი.

(5—3)

ქართველ ქალთა ამხანაგობის
სამკერვალოში
მიიღებენ ყოველგვარ ხელსაქმეს: თეთრეულს ფერადი ძაფით ნაკერებს და **კაბებს** ქალებისას და ბავშვებისას.
ბარონის ქუჩა, № 12.

ექიმი
ვ. ღამბაშიძე
იღებს შინაგან და საბავშვო ავათმყოფით საღამოს 6—7 საათამდე.
ბინა: ბარონის ქუჩა № 22, დიდი ვანქის ქუჩის კუთხესთან. ტელეფონი 642. (წ.)

კბილის ექიმი
ივანე პავლეს ძე
ახალშენიშვილი
ელისაბედის ქუჩა, 38.
იღებს ყოველ-დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 ს. და 11—2-დის, ხოლო საღამ. 5—7-დის. კვირა-უქმე-დღეებში 9—2-მდის და საღამ. 5—7-მდის.
(წლ.)

პირველი კერძო
სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.
დილაობით:
ხ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სიფილისტ-ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.
ჟ. მ. ჩიქოვანი. 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფისა.
მ. ზ. ავეტისიანცი. 10—11 საათამდე კანისა, ვენერიულ და ხირურგიულ ავადმყოფობისა.
ი. ბაბანასოვი. დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.
ქ. ი. ზძელიშვილი. 12—1 საათ. ყელისა, ყურისა და ცხვირის ავადმყოფობანი.
ზ. ა. თარხანოვი. 1—1½ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.
ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგიან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.
საღამოობით:
ნ. ნ. როსტომბეგოვი. 5—6 ს. ხირურგიულისა და კანის ავადმყოფობისა (ელექტროტერაპია)
ნ. ს. ლუზეცკი 6—7 საათამდე, ნერვებისა (ელექტროტერაპია), შინაგანი და ვენერიული.
ქალი ექიმი ა. ი. ზჩერბანინა 7—7½ საათამდის. ქალისა და საზებიო ავადმყოფობისა.
ვ. ა. თარხანოვი. 7½—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.
ხ. ა. ნავასარდიანი. 7½—8 ს.
ს. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გიმართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშნით.
რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.
დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.
Первая частная лѣчебница д-ра Навасардіана. Тифлисъ, противъ памят. Ворон- (წლ.

ტფილისის კერძო სამკურნალო
კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21, ავჭალის ქუჩის დასაწყისში.
ტელეფონი № 274.
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.
დილით:
მ. ი. ჟიჟინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათამდე, სამშაბათს ხუთშაბათს და შაბათს.
ნ. ტ. მულინი—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულ. 9—10 ს.
ვ. დ. ღამბაშიძე—ორშ., ოთხშ., და შაბათ. 10—11.
ზ. ზ. მაღალაშვილი—შინაგან. სამშაბათობით ხუთშაბათობით 10—11 ს.
ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—11 საათ.
დ. ა. გედევანიშვილი—შინაგან, ნერვებითა და ელექტროტერაპია 12—1 ს.
ა. მუსხელოვი:—თვალის ავადმყოფობა— ორშ. ხოთშ. და შაბათი. 11½—12½.
მ. მ. მანსვეტოვი—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა—კვირაობით 10—12 ს.
ზრ. მ. ხოზოლევსკი—დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით პარიცკეობით და შაბათობით 1—3 საათ.
მ. მ. ამბარდანოვი—ათაშანგისა, კანისა და საშარდესი, 1—3 ს.
საღამოთი:
ა. ზ. მაღალაშვილი—შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 სათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)
მუდმივი ექიმი გ. დ. ნახარიძე.
მასაჟი და საექიმო გიმნასტიკა: ორშაბათობით ოთხშაბათობით და პარასკეობით 6—8 ს.
რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით. კრაოტები 3 მან. 5 მანეთამდე. (წ.)
№ 46—8 ტელეფონი № 617

ტფილისი, 4 მაისი.

ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობის მორიგს კრებას, როგორც ვიცით, ბევრი სხვა და-სხვა საგანი აქვს განსახილველი. მათ შორის ფრიად საყურადღებოა აგრეთვე უმაღლეს სასწავლებლის დაარსების საქმეც ტფილისში.

ამიტომ მოვალეობად ვსთვლით, ჩვენი აზრი წარმოვსთქვათ ამ საგნის შესახებ.

ჩვენის ფიქრით, ბევრად უმჯობესი იქმნება, რომ თავად-აზნაურობის კრებამ უნივერსიტეტი ირჩიოს, ვიდრე სხვა რომელიმე მაღალი სასწავლებელი და სწორედ ამ სასწავლებლის დაარსებისათვის იშუამდგომლოს.

ტფილისში უნივერსიტეტის დაარსების საქმე დიდი ხანია საზრუნავ საქმედ აქვს გამხდარი ჩვენს თავად-აზნაურობას. ჯერ ისევ მესამოცე წლებში ჰქონდა მსჯელობა თავის მორიგ კრებაზედ ამ ფრიად დიდის მნიშვნელობის საგანზედ. მას უკან ბევრჯელ დაჰბრუნებია ამ საგანს. უკანასკნელად, როცა ღვთივ-განსვენებული იმპერატორი ალექსანდრე მეორე მობრძანდა ჩვენს ქვეყანაში, 1871 წელს, თავად-აზნაურობამ ცალკე კომისიაც-კი აირჩია, რომელმაც დიდის ხმის უმეტესობით გადასწყვიტა, სასურველია თავად-აზნაურობამ იკისროს შუამდგომლობა უმაღლესის მთავრობის წინაშე უნივერსიტეტის დაარსებისათვის ტფილისშიო.

თუმცა კომისიამ გადასწყვიტა, იშუამდგომლოს თავად-აზნაურობამაო, მაგრამ მაინც ეს შუამდგომლობა თავად-აზნაურობამ არ იკისრა. არ იკისრა, იმიტომ, რომ ჯერ უდროვოაო და უფრო კიდევ იმიტომ, რომ კავკასიაში არ იყო მაშინ იმდენი შუათანა სასწავლებელი, რამდენსაც შეუძლიან კურსი დაამთავრებინოს უნივერსიტეტში შესასვლელად საჭირო რიცხვს ახალგაზდობისას.

ამ ჟამად, როცა ამ მხრივ გარემოება იმდენად საუკეთესოდ შეიცვალა, რომ ყოველ-წლივ შუათანა სასწავლებლებში კურს-დამთავრებულთა რიცხვი სწავლა-განათლების სამინისტროს უწყების შუათანა სკოლებში 500 კაცს აღემატება, ხოლო ეს რიცხვი სრულიად საკმაოა უნივერსიტეტის ასავსებლად; როცა უმაღლესის სასწავლებლის დაარსების საქმე კავკასიაში მსჯელობის საგნად იყო სასოფლო-სამეურნეო საჭიროებათა საგუბერნიო კომიტეტშიაცა, კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებაშიაცა და ტფილისის საქალაქო თვითმმართველობაშიც,—თავად-აზნაურობისათვის ნაადრევი აღარ უნდა იყოს კვლავ დაუბრუნდეს თავის პირვანდელს აზრს და იკისროს შუამდგომლობა უნივერსიტეტის დაარსებისათვის ტფილისში.

ასეთი შუამდგომლობა თავად-აზნაურობის მხრივ მარტო ოდენ პლატონიურ სურვილის გამოთქმა-კი არ იქნებოდა, არამედ შესაძლო იყო მისი შემტკიცება ნივთიერადაც.

თავად-აზნაურობა ჰხარჯავს წელიწადში 10,000 მანეთზედ მეტს ფულს სტიპენდიებად უმაღლესს სასწავლებლებში; თუ-კი უნივერსიტეტი ტფილისში დაარსდებოდა, ეს ფული შესაძლო იყო კავკასიის უნივერსიტეტს მოჰხმარებოდა; ამას გარდა, ამავე უნივერსიტეტს მოჰხმარდებოდა დიდის ხალისით ის ფულიც, რომელიც შეწირულია პოლიტეხნიკუმისათვის, როგორც სხვა-და-სხვა დაწესებულებათა, ისე კერძო კაცთა მიერ, რადგანაც უპირატესობა უნივერსიტეტისა უმაღლეს სპეციალურ სასწავლებლების წინაშე ცხადია ყველასათვის. უნივერსიტეტი ბევრად უფრო სასარგებლო იქმნება არა მარტო ტფილისისათვის, არამედ მთლად კავკასიისათვის, რომელსაც ამდენი სხვა-და-სხვა გვარი ინტერესები აქვს. ყოყმობა ამ შემთხვევაში თითქმის სრულიად უადგილო უნდა იყოს, რადგან პირველად შეწირულს ფულს, როგორც ტფილისისა, ისე სხვა დაწესებულებისა და კავკასიის ქალაქებისას ის დანიშნულება ჰქონდა, რომ უნდა მოჰხმარებოდა სახელდობრ და ნიშნობლივ უნივერსიტეტის დაარსებას.

სრული იმედი გვაქვს, რომ თავად-აზნაურთა კრება თანაგრძნობით მოეკიდება ამ საქმეს, იშუამდგომლებს, საცა ჯერ არს, უნივერსიტეტის დაარსებისათვის, და თუ მისი შუამდგომლობა შეწყნარებულ იქმნა, მთელის კავკასიის გულწრფელს მადლობას დაიმსახურებს.

ტფილისი

◆ გუშინ, 3 მაისს, დაიწყო თავად-აზნაურთა კრება 12 ნახევარ საათზედ. გუბერნიის წინამძღოლმა კრებას აცნობა სამწუხარო ამბავი—გარდაცვალება თავადის კონსტანტინე ივანეს ძის ბაგრატიონ მუხრან-ბატონისა, მოიხსენია რამდენიმე სიტყვით მისი ღვაწლი გუბერნიის წინამძღოლად ყოფნის დროს, და სთხოვა კრებას ფეხზედ ადგომით ეცათ პატივი ახლად მიცვალებულისათვის და, ნიშნად გლოვისა, გადაედოთ სხდომა ორშაბათისათვის. ამას გარდა, სთხოვა აქედანვე ერთობით წასულიყვნენ განსვენებულის პანაშვიდზედ დასასწრებლად. კრებამ ფეხზედ ადგომით პატივ სცა მიცვალებულის ხსენებას, გადასდო სხდომა და გაემართა პანაშვიდზედ დასასწრებლად. კრებამვე გადასწყვიტა, წევრნი კრებისა დაესწრნენ ერთობით თ. კ. ი. მუხრან-ბატონის დასაფლავებაზედ.

◆ გუშინ, დილის 11 საათზე, ტფილისის თავად-აზნაურთა სკოლის სადგომში გარდახდილ იქმნა პანაშვიდი სკოლის გამგე კომიტეტის ახლად გარდაცვალებულის თავმჯდომარის, მისის უდიდებულესობის კარის ეგერმეისტრის, თავადის კონსტანტინე ივანეს ძის ბაგრატიონ მუხრან-ბატონის სულის მოსახსენებლად. პანაშვიდს დაესწრნენ გამგე კომიტეტის წევრნი, სკოლის მასწავლებელნი და მოსწავლენი.

◆ გუშინ თავად კონსტანტინე ივანეს ძე ბაგრატიონ მუხრან-ბატონის სულის მოსახსენებლად გადახდილ პანაშვიდს დაესწრნენ: მთავარ-მართებლის თანაშემწე გენერალ-ლეიტენანტი ფრეზე, გენერლობა, ქალაქის თავი თავ. არგუთინსკი-დოლგორუკოვი, თავად-აზნაურობა, ნათესაობა და მრავალი ხალხი.

◆ 1 მაისს თამარ მეფის დღეობა იდღესასწაულეს ანჩისხატის ტაძარში, სადაც წინა დღეს, ოთხშაბათს იყო ლოცვა პურის კურთხევით, ხოლო 1 მაისს-კი წირვა და პარაკლისი მშვენიერის გალობით.

დღესასწაულს დაესწრო მრავალი სხვა-და-სხვა წოდებისა და წრის ხალხი.

აქვე არიგებდნენ ამ დღესასწაულისათვის საგანგებოდ დაბეჭდილს თამარ მეფის სურათს აკაკის ლექსით და აკაკისავე პატარა მოთხრობას „თამარ მეფეს“.

◆ ქალაქის მეფარნეებს უთხოვნიათ ქალაქის გამგეობისათვის, რომ ჯამაგირები მოუმატონ, რადგან ცხოვრება გაძვირდა ტფილისში და ჯამაგირს ქალაქი-კი თვეში თხუთმეტ მანეთს გვაძლევსო, რომელიც არა გვყოფნის და ვალი გვედებაო. გთხოვთ, რომ თხუთმეტი მანეთის მაგიერ თვრამეტი დაგვინიშნოთო.

◆ 2 მაისს შეერთებული კრება იყო ქალაქის გამგეობისა და ხორცის დუქნების გამგე კომისიისა. კრებამ დაადგინა, წარედგინოს საბჭოს ის, რაც გამოარკვია 28 აპრილს

საქონლის დახოცვამ ხორცზედ ნიხრის დადების შესახებაო.

◆ ქალაქის საბეითალო ექიმი ატყობინებს სასანიტარო-სამკურნალო ინსპექტორს, რომ ქალაქში საქონლის ჭირის თავიდან ასაცდენად, საჭიროა ყველა საბეითალო ექიმებმა შეისწავლონ საქონლის აცრა. ამიტომ კარგი იქნებოდა, რომ საბეითალო ექიმები ორის კვირის ვადით გაიგზავნონ იმ სადგურზედ, სადაც ჭირიან საქონელს სწამლობენო. საქონლის აცრის ცოდნა მით უფრო საჭიროა, რომ ამ ბოლოს დროს ქალაქში ბევრი ჭირიანი საქონელი ჩამოჰყავთ გასაყიდი და ადვილად მოსალოდნელია, რომ ქალაქშიაც გაჩნდეს საქონლის ჭირიო.

◆ მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრს უკვე დაუმტკიცებია კავკასიაში გეოლოგიურ გამოკვლევათა შესახებ შემუშავებული პროგრამმა. ამ პროგრამმით კავკასიის გეოლოგიურ კომიტეტს მიენდო, დაიწყოს მუშაობა სულ ახლო მომავალში. გეოლოგიურ კომიტეტს უკვე დაუნიშნია გამოკვლევათათვის ორი მთა-მადნის ინჟინერი: გოლუბიატნიკოვი და მარგოლიუსი. პირველი დაიწყებს მუშაობას წელს და გამოიკვლევს ბაქოს მხარეს მდებარე ნავთის ადგილებს, ხოლო მეორე დაიწყებს მომავალ წელიწადს ტფილისის გუბერნიის დაბა-სოფლებში. მარგოლიუსი გამოიკვლევს დუშეთის და თელავის მაზრაში იმ ადგილებს, სადაც წინად სხვა-და-სხვა ინჟინრებს აღმოუჩენიათ ლიტოგრაფიული ქვა, სპილენძის მადნეულობა, ოქრო, ვერცხლი და სხვ. მარგოლიუსი გამოიკვლევს აგრედვე ახალქალაქის მაზრის სიაფქანძის მახლობლად იმ ადგილებს, სადაც ამ ბოლოს დროს ნავთმა იჩინა თავი.

2 მაისს, ტირასპოლის რომის კათოლიკელთა ეპისკოპოზი, ყოვლად სამღვდელო ედუარდი (ბარონ ედუარდ დე-როპპი) ტფილისიდამ წავიდა ბათუმს ახლად აშენებულ კათოლიკეთა ეკლესიის საკურთხებლად. ყოვლად სამღვდელო ედუარდი მალე ისევ ტფილისში დაბრუნდება.

◆ როგორც გავიგეთ, კავკასიის საბეითალო განყოფილების გამგეს მიუღია სამსახურში იურევის საბეითალო ინსტიტუტის ოთხი სტუდენტი და გაუგზავნია კავკასიის სხვა-და-სხვა ადგილას ჭირთა საბრძოლველად.

◆ ტფილისში უკვე ჩამოვიდა მოსკოვის მცირე თეატრის დასი.

◆ 4 მაისს, კათოლიკეთა ეკლესიის კურთხევის შემდეგ, ყოვლად სამღვდელო ედუარდი სადილად მიწვეული იქნება ბათუმის ქალაქის თვითმართველობის მიერ.

◆ 4 მაისს სამისიონერო სასულიერო-განათლების ეპარქიალურ ძმობას ექნება წლიური კრება. კრება დაიწყება, ყოვლად უსამღვდელოესის ალექსის თავმჯდომარეობით, წირვის შემდეგ. კრება განიხილავს ძმობის მოქმედების ანგარიშს 1902 წლის განმავლობაში, ამოირჩევს საპატიო წევრთ და ერთ წევრსაც სარევიზიო კომისიისათვის.

◆ ამ დღეებში ქალაქის ხმოსნებს კერძო მოლაპარაკება ჰქონდათ იმ საგნის შესახებ, მიიღოს თუ არა ქალაქმა მონაწილეობა პეტერბურგის დაარსების ორასის წლის იუბილეიში, კრებამ გადასწყვიტა, მიიღოს მონაწილეობა და ამ აზრით გაჰგზავნოს თავისი წარმომადგენელი პეტერბურგს.

◆ ამიერ კავკასიის რკინის გზის უფროსის განკარგულებით, უკვე შესდგა საგანგებო კომისია, რომელიც გამართავს ხოლმე კვირაობით და საღამოობით კურსებს რკინის გზის მოხელეთა, ხელოსანთა და მუშათათვის. კომისიაში მონაწილეობას იღებენ რკინის გზის უფროსები, იმათი თანაშემწენი, მღვდელი ნანობაშვილი და უფროსი კონტროლიორი სოფრონოვი. ამ კომისიის დამტკიცების შემდეგ, სიფხიზლის საზოგადოების კომისის მოქმედება უქმდება.

◆ ამ დღეებში ჩამოვიდა ტფილისს იუნკრის სასწავლებლისა და კადეტთა კორპუსის დასათვალიერებლად უმთავრეს სამხედრო-სამოსწავლო გამგეობის მიერ დანიშნული კაცი, გენერალი ბარცოვი.

◆ როგორც გაზეთი „კასპი“ ამბობს, 29 აპრილს სადგურ ბალაჯარზედ მებუფეტე ჩიგოგიძის სახლს ცეცხლი წაჰკიდებია. შემდეგ ცეცხლი მოჰკიდებია თვით ბუფეტს და მთლად გადამწვარა სამზარეულო. სადგურზედ მყოფ მოხელეთ მალე დახმარება აღმოუჩენიათ და ცეცხლი ჩაუქვრიათ.

ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა მორიგი კრება.

3 მაისი (მეორე სხდომა)

კრება დაიწყო დილის 11 საათზე. რადგან ზოგიერთს ფიცი არა ჰქონდა მიღებული, თავმჯდომარის თავ. დ. ზ. მელიქიშვილის წინადადებით, ფიცი მიიღეს და შემდეგ მორიგ საქმეთა განხილვას უნდა შესდგომოდნენ; მაგრამ მაზრის წინამძღოლთ საჭიროდ სცნეს წინასწარ კერძო თათბირი მოეხდინათ თავიანთ მაზრის წარმომადგენელთა შორის და შემდეგ შესდგომოდნენ საერთო საგუბერნიო საქმეებს.

12³/₄ საათზე ყველანი ერთად შეიკრიბნენ და კრება განახლდა. თავმჯდომარის წინადადებით, — რომელმაც გრძნობიერი სიტყვა წარმოსთქვა და გააცნო დამსწრე საზოგადოებას აწ განსვენებულ გუბერნიის წინამძღოლად ყოფილ თავ. კ. ი. მუხრან-ბატონის მთელის ექვსის წლის განმავლობაში ამ საპატიო ასპარეზზე სასარგებლო მოღვაწეობა, — კრებამ ფეხზედ წამოდგომით პატივი სცა განსვენებულის ხსენებას; გარდა ამისა გადასწყვიტა ჯერ პანაშვიდზედ, რომელიც გუშინ იყო დანიშნული პირველ საათზედ, და შემდეგ ხუთშაბათს — მაისის 8-ს — ერთთავად დასწრება გამოსვენებაზედ და ვერცხლის გვირგვინით შემკობა განსვენებულის კუბოისა.

შემდეგ ამისა კრება გადადებულ იქმნა ორშაბათამდე, ხოლო მაზრის კერძო საჭიროებათა შესახებ მოსალაპარაკებლად დღეს — დილის 11 საათზე, — უნდა შეიკრიბნენ ბანკის დარბაზში.

ახალი სასწავლებელი გაგრაში

ეხლანდელ თავად-აზნაურთა საგუბერნიო კრებას მოხსენდება ფრიად საყურადღებო და საქართველოსათვის დიდად სასიამოვნო ამბავი, იმის შესახებ, რომ მისმა უმაღლესობამ ოლდენბურგის პრინცმა ალექსანდრე პეტრეს ძემ ინება დაარსოს გაგრაში, სოხუმის მაზრაში, ამიერ კავკასიისათვის საშუალო სასწავლებელი, პანსიონებით ქალთა და ვაჟთათვის. ამ სასწავლებლებთან ერთად გამართული იქნება ეგრედ წოდებული უფროსი კლასები, სადაც ასწავლიან ყოველ ტეხნიკურს და მეტადრე სამეურნეო საგნებს, ცხოვრებაში გამოსადეგს. ასეთი სასწავლებელი მით უფრო სასურველია ჩვენთვის, რომ ამ სასწავლებელში ჩვენებურს ენას დათმობილი ექნება ჯეროვანი ადგილი.

დარწმუნებული ვართ, რომ თავად-აზნაურობა დიდის მადლობით და სიხარულით მიიღებს ამ ამბავს და თავის მხრით არ დაიშურებს არავითარს ღონისძიებას, რომ ამ სასურველს აზრს თავისი გზა მიეცეს განსახორციელებლად.

ქართული საეკლესიო გალობა.

ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლმა გუშინ მიიღო პროექტი იმის შესახებ, თუ რა გზით შეიძლება დაცულ იქმნას ქართული გალობა და თხოვნა, რომ პროექტი თავად-აზნაურთა კრებას წარუდგინოს განსახილველად.

„ჯერ ასი წელიწადიც არ გასულაო მას აქეთ, ვკითხულობთ პროექტში, რაც საქართველოში ქართული გალობა ჰყვაოდაო. ქართლ-კახეთის ოც და ოთხ სამღვდელთმთავრო ტაძრებთან — სვეტიცხოველში, სამთავროში, ტფილისში, მანგლისში, წილკანში, სამთავისში, ურბნისში, რუისში, ნიქოზში, მარტყოფში, ნინოწმიდაში, სამებაში, ქერემში, ბოდბეში, ალავერდში და სხ., — მგალობელთა გუნდი ყველგან იყო და საეკლესიო მამულების შემოსავლით სცხოვრობდნენო. ამას გარდა, თავად-აზნაურთა ყოველი საგვარეულო თავის კარის საყდრებთან, მეფის ოჯახივით, ინახავდნენ მგალობელთა გუნდსა და საუკეთესო სამღვდელოთა; მაგრამ 1811 წ. შემდეგ საეკლესიო გამგეობა შეიცვალა და მას აქეთ ქართულ გალობის საქმეც უკან და უკან წავიდაო.

ქართულ გალობის ძველის კილოების დაცვა-კი, როგორც ეკლესიებში სახმარებლად, ისე მეცნიერულად შესწავლისათვის, ფრიად საჭიროაო.

ქართულ გალობის ძველის კილოების დაცვისათვის საჭიროა: ა) მათი ნოტებზედ დაწერა და დაბეჭდვა, და ბ) მუდმივი ქართველ მგალობელთა გუნდის შექმნა ტფილისის ერთ-ერთ ეკლესიასთანაო.

დღეს, რა-კი ძველის საქრისტიანო ტაძრების დამცველი და პატრონი საქართველოს თავად-აზნაურობააო და იგივე ჰზრუნავს საზოგადო საჭიროებათათვისაო, ურიგო არ იქნება ამავე თავად-აზნაურობამ, თავის სასახელოდ, ქართულ გალობისთვისაც იზრუნოს და ოთხის წლის განმავლობაში წელიწადში ორმოცდაათ-ათი თუმანი გადასდოს ქართულ ძველის გალობის კილოების დასაბეჭდათაო, ხოლო მგალობელთა გუნდის შესანახად წელიწადში ას-ასი თუმანი, ვიდრე საკმაო თანხა შესდგება, რომ მისი სარგებელი გაუძლევს ამ საქმესაო. ამ ფულის დანიშნულებისამებრ დახარჯვა და ამ სიმპატიურ საქმის სისრულეში მოყვანა მიენდოს ან ქართველთა შორის წ.-კით. გამავრც. საზოგად. გამგეობასა, ანუ ცალკე კომმისიას, როგორც თავად-აზნაურობა საუკეთესოდ დაინახავსო.

გალობის მოყვარე.

ხელოსანთა უსტაბაშების არჩევნების გამო.

დაიწყო უსტაბაშების არჩევნები და ათასმა წამოჰყო თავი, არა მე ამირჩიეთ, არა მეო. არასა ჰზოგავენ ხალხის გულის მოსაგებად, ოღონდ უსტაბაშის სახელით მოინათლონ.

რისთვის იმტვრევდნენ თავებს ეს ყაბატონები, სახელისათვის, თუ სახრავი ეგულებათ რამე? პირველისა რა მოგახსენოთ (ამისათვის არც ცოდნა მესწევით და არც გამოცდილება) და მეორე-კი, რომ ცხადზედ უცხადესია, ამას დამტკიცება აღარ უსაჭიროება.

უკვე იყო გაზეთებში აღბეჭდილი მათი ყოველივე საშრომ-საღვაწი. მათზედ-კი გამოითქვა ყველაფერი, მაგრამ ჩვენ, მათი ამომრჩევლები და არა ამომრჩევლები მართალნი და მიუცდომელნი ვართ? აი, ამასა ჰქვიან სხვის თვალში ბეწვის ძებნა და თავისაში ძელის არ დანახვა.

როდესაც არჩევანებზედ ვბაასობთ, კარგი უნდა, ორას კაცში ასმა მოიყაროს თავი, რომ ასწონ-დასწონონ და მესაფერი კაცი ამოირჩიონ. არა, ეს მათთვის სავალდებულო არ არის და ამიტომ უმრავლესობა გაიძახის, ჯანი და სულიც გაჰქარდებიათ, ალიას ამოირჩევენ, თუ მუსიას, მე ხმა არ დამაკლდებაო. და როდესაც ახვარი და შეუსაბამო კაცი გამოდგება, მაშინ უპატიოსნო ლანძღვა-გინებით იხსენიებენ ამომრჩევლებს ამორჩეულითურთ. ეს უსინდისობა, უპატიოსნობაა და სხვა არაფერი.

ბევრჯელ ამომრჩეველმა არც-კი იცის, ვის არჩევს, მაგრამ გარწმუნებენ, გეფიცებიან მისი თაყვანის მცემლები, ყოვლად პატიოსანი, ყოვლად მოსაქმე კაციაო და მეც გჯერა და თითონ ხმას აძლევ. რომ სულ ყველანი მოდიოდნენ, მაშინ-კი საქმეს ასწონ-დასწონიდნენ; თუ ერთისა და ორისათვის უცნობი იქმნებოდა, ხუთისა და ათისათვის ნაცნობი გამოდგებოდა და მაშინ სალანძღავ-საგინებელი აღარავის რა ექმნებოდა.

ეს ერთი. მეორეც ის არის, რომ ამოვირჩევთ პეტრეს, თუ ოხოპეტრეს და თვალ-ყურს-კი აღარ ვადევნებთ მის მოქმედებას, რომ უსინდისო საქციელისათვის პირში ალკაპში ამოვდოთ და, თუ თავისი არ დაიშალა, გამოვაძევოთ.

ზოგითა ვსთქვით, ზოგიერთები სახელისათვის სცდილობენ და ზოგნი სახრავისათვისაო.

ყოველ ნათქვამს დამტკიცება უნდა, თორემ ცილის წამება არავისათვის საკადრისი არ არის. ვინც სახელისათვის სცდილა, ის თვეში ერთხელ არ მოდის და არც თავისს ამხანაგებს ენდობა, ასე, რომ დავთრები სახლში ჩაუკეტნია და, თუ ყოვლად შეუძლებელი საქმეა, ძმას ჰგზავნის თავისს მაგიერ (ვინ იცის, შემდეგ ძმისწული და ბიძაშვილიც გამოჰგზავნოს).

ჩვენ არ გვესმის ასეთი თავხედობა. თუ ჩვენ მთელი ას-ორასი კაცი ვენდობით და ვირჩევთ, რა უფლება აქვს, რომ თავისს ამხანაგებს არ ენდობა.

არიან ისეთნიც, რომელნიც კვირაში ორის დღის მაგიერ, დღე და ღამე იქა სხედან, რომ მეტი საქმე გააკეთონ და მეტს გამორჩნენ. არიან ისეთნიც, რომელნიც აუცილებლად მოვალენი არიან, 8 საათიდგან პირველ საათამდის აქ ფეხ-მოკეცილები ისხდნენ და ხელოსანთა საქმეებს აწესრიგებდნენ, მაგრამ ეს ყაბატონები პირველ საათზედ მოდიან და მეორეზედ გადიან,

იქნება ვინმემ სთქვას რამე ჯამაგირებზედ. ჯამაგირები ისეთები ეძლევათ, რომ უმაღლესს სწავლა-დამთავრებულსაც-კი ენატრება.

დიაღ, დავნატრულდით კარგსა და უანგარო მოხელეებს. არ იქმნა და ვერ ვეღირსენით გულის საწადელს.

მთელმა ქვეყანამ გზა გამოიკაფა, ცუდიანი და უცუდო ჩვენ მოგვადგა: ვარშავა, პეტერბურგი, მოსკოვი, „ზაგრანიცა“ და სხვანი, რომლებმაც ჩვენი ნამუშევარი დასცა ძირს და ისე ძლიერადაც, რომ თქმა მოუხერხებელი-ღაა. ამას, როგორც იქნებოდა, გავუძლებდით, რომ რიგიანი გამგეობა გვყვანდეს და მეტის მეტ თავგასულობას ბოლოს მოუღებდნენ.

მე მოგახსენებთ უცხო, უპატენტო (უპატენტო) ოსტატებზედ, რომლებსაც ფეხის გადაგმაზედ ასობით ჩამოსთვლით.

არ იქმნა და არა გვეშველა-რა: ბიჭო, თუ ღირსია, ჩვენი ხარჯით მიეცით მოწმობა, და, თუ ღირსი არ არის, თავისს საქმესთან ჩვენსას ნუ ახლებს. ან რამ ენაღვლება? გუგულისა არ იყოს, თავის კვერცხებს სხვას აჩეკინებს. ისაა ჩვენი საქმეც. მთელ გამგეობას ჩვენ გვანაჩვენებს, რაიცა იაფად არ გვიჯდება, და უპატენტოები-კი მუქთად სარგებლობენ. ნუთუ მეტი დაბეჩავება და მასხარად აგდება-ღა შეიძლება?

ამ ერთის თვის წინად ერთი ბუმბერაზი შემოვიდა და თან ერთი ქვრივი მანდილოსანი შემოიყოლა. სალამ-ქალამის შემდეგ უსტაბაშს მხრების აწევით უთხრა: ამ დედა-კაცის შვილს შეგირდათ ვიყვან და „კანდრახტი“ დამიწერეთო. მერე და თქვენ თითონ ოსტატობის ღირსება არ მიგიღიათ და რა კანონით თხოულობთ კანდრახტსაო. ცხვირში ჩაიცინა და ყურში წასჩურჩულა: საოსტატოში ეს დედაკაცი სამ თუმანს მაძლევს და იმ ფულს «ატესტატში» შენ მოგართმევო.

საქმე გაიჩარხა, „კანდრახტი“ ხელად დაიწერა (მხოლოდ მძევლად დარჩა უსტაბაშთან). ოსტატმა ფულები მიიღო და გიახლათ კიდეც და ჩვენი უსტაბაში პირში ჩალა-გამოვლებული დასტოვა. ღირსიც ბძანდებოდა, მაგრამ არ ჰკითხავთ ამ საცოდავ ქვრივ-ოხერს, სად იშოვნა ეს სამი თუმანი? ამას თქმა აღარ ეჭირვება: ვალი აიღო და, ვინ იცის, მოუსწრება მისი შვილი გადახდას თუ არა. თუ მოუსწრება, სამ თუმანს გადაიხდის თუ ხუთჯერ სამს, ეს ჩვენში დარჩეს და ვკითხოთ ამ არა-ოსტატს, რაში აიღო, რაში გამოართვა ეს ფულები?! ეჰ, უწყალობავ, როდის მოედება ბოლო შენს თავისუფალ პარპაშს?

ვსთხოვ ყველა ოსტატს, ვისაც-კი გულის მა-

ფელეტონი

ნახული და გაგონილი

II

ერთი სურათი ვნახე ამას წინად ბორჯომის სადგურზედ და უნებურად გამახსენდა მშვენიერი პატარა მოთხრობა განსვენებულის ჩვენის ალექსანდრე ყაზბეგისა — ელისო.

სადგური სავსე იყო ქართველ მაჰმადიანებით, ღამის პირველი საათი იქნებოდა, ბავშვები და დედა-კაცნი ქერეხებივით ეყარნენ ცივ იატაკზედ. მამა-კაცთ არ ეძინათ, ხოლო ორიოდე დედა-კაცი აქა-იქ წამოკუნტილიყო და ბავშვებს ძუძუს აწოვებდნენ, თან რაც ძალი და ღონე ჰქონდათ ჩადრებს იფარებდნენ, რომ უცხოთა თვალთაგან დაემალათ პირისახე. კარგა ხანს ვუყურე ამ სევდისა და დარდის ამშლელს სურათს, ვიდრე გონებამ ხელახლა არ გამიტაცა მოხუცი ანზორისკენ, ელისოსა და ვაჟიასკენ.

სხვისა რა მოგახსენოთ და მეკი იმ აზრისა ვარ, რომ ყველაზე ძლიერი სევდა, ადამიანის დამაავადებელი და დამასნეულებელი ისაა, როდესაც ჰგრძნობ, რომ შენი ბედი შენს ხელში არ არის. ეს რომ ასე არ იყვეს, განა ამ სურათს წავაწყდებოდი? განა ამ საცოდავებს აქვე ვერ მოვაწყობდით? ხომ ცხადია, რომ ეს უბედურნი იქ, უცხოეთში, სამოთხეს ვერ იპოვნიან და მხოლოდ პირი ცივი სამარისაკენ მიუმართნიათ.

თვალი მოვკარი ნაცნობ გლეხსა.

— საიდა, შენა? ეს რა ამბავია, განა ასე მალე აიბარგეთ?

— დიახ, ბატონო. აკი იმ დღეს მოგახსენეთ, რომ წასვლას ვაპირებთო. ყველაფერი, რაც რამ გვებადა, მივყიდ-მოვყიდეთ, მატარებელს ველით, დაგვპირდნენ, ცალკე ვაგონს მოგცემთ ბათუმამდინაო.

საუბარი შევწყვიტე. ან-კი რაღაზე გველაპარკნა? მართლა, ორი კვირის წინად, ბევრი ვილაპარაკეთ, მე ჩემსას არ ვიშლიდი, საიდა თავისას; ბოლოს თავისი ისევ საიდამ გაიტანა და აიბარგა. იმასთან სხვამაც ბევრმა მოშალა მამა-პაპეული ფუძე.

საიდა და მისი მეზობლები ს. საკუნეთიდან არიან. ეს კარგა მოზრდილი სოფელი აწყურს აკრავს, ასე 5—6 ვერსი იქნება. შიგ მშვენიერი თლილი ქვის პატარა ქართული ეკლესია დღესაც კოხტად გამოიყურება. ამბობენ და ბევრსაც სჯერა, რომ ეკლესიიდგან ხანდახანობით საღამო ჟამს ნათელი მოსჩანსო. ერთხელ, განსვენებულმა აწყურის ექიმმა, შესანიშნავის გულის პატრონმა კაცმა ივანე ბარამიშვილმა კიდევაც წამიყვანა საღამო ხანს აწყურიდგან საკუნეთისაკენ — ეგები დავინახოთ ნათელიო, — მაგრამ ვერა დავინახეთ-რა.

საუკუნეთს ძველად — ქართულად საყოველთაო ერქვაო. არ ვიცი, რამდენად მართალია ესა, ასე კი ამიხსნა ამ სოფლის ერთმა ბატონთაგანმა. მთელი სოფელი დღესაც, დიდი და პატარა, წმინდად და სუფთად ლაპარაკობს ქართულად. ძველი ქართული გვარებიც ისევე კარგად შენახული, როგორც შუაგულ ქართლსა და იმერეთში.

სევდის ამშლელ სურათს მოვშორდი და ჩემ გზას გავუდექი. გზაში მომაგონდა ამ სოფლის მოძღვარი — მოლა, ახალგაზდა, სანდომიანი, წმინდა ქართველური სახის მეტყველებით. გაცნობის დროს გამოვკითხე მოლას — სად მიიღო განათლება. ბევრი რამ მიამბო საყურადღებო. ნაამბობმა ცხადად დამანახვა, თუ ასე უწყალოდ რად აიყარეს ჩვენზე გული ჩვენმა თანამემამულეთ.

თოთხმეტი წლისა ვიყავი, როცა სტამბოლს გამგზავნეს სწავლის მისაღებადაო. საცხოვრებელი იქ არ მქონდა რა, სახლიდგან მარტო გზის ხარჯი გამატანესო. მივებარე სასწავლებლად სტამბოლის მოლებს და ვცხოვრებდი ჩუმთვისო.

— მოლა, რას ამბობ, განა მშიერი არ მოკვდი უცხოეთში, იმ უშველებელ ქალაქში, სადაც არც ნათესავი და არც თვის-ტომი არ მოგეძებნებოდა?

მოლამ იტკიცა.

— როგორ თუ უცხოეთი? იქ განა სულ ჩვენები არ არიან? ქვეყანა დიდია, ძლიერი, მდიდარი, განა აქაურ ფუხარებსა (ღარიბი) ჰგვანან? მაჰმადიანი იქ მშიერი როგორ მოკვდება?

ამას რომ ამბობდა, ახალგაზდა ჯან-ღონით სავსე მოლას სახე გაუბრწყინდა სიამაყითა და ამპარტავნებით, ასე რომ მევე შემრცხვა ჩემის გაოხრებულის და გატიალებულის სამშობლოსი.

მოლამ ისიც მიამბო, რომ ათი წელიწადი დავრჩი სტამბოლსაო. სახლიდგან საზრდო არა მომდიოდა-რა, მაგრამ საჭიროც არ იყოვო. რამაზანისა და ბაირამის დროს, აგრეთვე სხვა დიდ დღესასწაულებში წავიდოდით სტამბოლს გარედ, სოფლად, ლოცვებს ვკითხულობდით, ვგალობდით, აი ისე, როგორც ქართველები ქონაზე დადიან ხოლმეო და იმდენს საშოვარს ვშოულობდით, რომ წლითი-წლობით თავზე საყრელი გვქონდაო.

მგონი ადვილად მიხვდებით ეხლა, თუ საიდაა ამ ყმაწვილი მოძღვრის „alma mater“-ი, საიდ მიჰფრინავს მისი გონება და რა გუნებაზე უნდა იყვეს ან თვითონ ეგა, ან მისი მრევლი. დიდ სიდუხჭირეს და უბედურებას ჩვენის დღევანდელის ცხოვრებისას ვიღა იტყვის, როცა მცირედი ნაკლულევანება აუცრუვებს კაცს გულსა და დაატოვებინებს სამშობლო მიწა-წყალსა. რაღა ესენი და რაღა ნარზე მჯდომარე ნიბლია ჩიტი!

—

ამ დღეებში მეორე, ბოგველ მოლასთან მქონდა საუბარი. ს. ბოგა იგივე ქართველ მაჰმადიანებითაა დასახლებული და სუფთა ქართული შერჩენიათ. გადასათარგმნი მქონდა მცირე რამ თათრული. თარგმანს რომ მოვრჩით, მასლაათი გავაბით.

— თორმეტი წელიწადი ვისწავლე დიღურის მოლებთანო და შემდეგ ეგზამენი დავიჭირე მოლის ხარისხის მისაღებად ტფილ ქალაქში მუფთიასთანო.

დღევანდელ მესხეთში დიღურის სკოლას ხუმრობით „მაჰმადიანების აკადემიას“ ეძახიან. აქ ბლომად არიან ნასწავლი მოლები, იყვანენ შეგირდებს და ასწავლიან არაბულს და ყორანს. მთელი ავლა-დიდება ამ აკადემიისა ესაა, სხვა იქ არა მოიპოვება-რა.

ს. დიღური (რუსულად დგვირ) ფოცხოვშია, გარშემო სულ ქართული სახელებია სოფლებისა, როგორც მაგ. საიხვე, გული, ქილვანა, პეტუბანი, ზეინდარი, საკირე, ხერთვისი, მერია, სამიხელია, გუნია, ქაბორია, კოდისი, ტაბალა, ხონამისი, ფარხანი, ხეოთი, ალი, აგარა, წურწყაბი, სათლმალი და სხვა, მაგრამ სახელის გარდა ქართული აღარაფერია, სულ ალგვილა დედამიწის პირიდან ქართველის სახსენებელი.

მოგეხსენებათ, რომ მოლებიც კაცნი არიან და სმა-ჭამა უნდათ. შეგირდები ფულს არ აძლევენ, ათასში ერთხელ თუ მცირე ძღვენს მიართმევენ, მაგ. შაქარსა და სხვა ამგვარ ტკბილეულობას. მასწავლებელ მოლებს დიდ მფარველობას უწევდა და ასაზრდოებდა ფოცხოვის გავლენიანი შეძლებული კაცი შაქირ-ბეგი, რომელიც ენათესავებოდა კარგად ცნობილს, განსვენებულს ფეიზულა-ბეგ-ათაბეგოვს ქავბლიაშვილს.

შაქირ-ბეგიც სხვებსავით შარშან აიბარგა ცოლშვილით, გადავიდა საოსმალოში, იყიდა მშვენიერი სახლები სტამბოლს და იქ დაესახლა. ეხლა ვიღა პატრონობს დიღურის „აკადემიას“, არ ვუწყით.

დიღურის „აკადემიიდგან“ გუვერნორებიც გამოდიან. ბევრგან ბეგების ოჯახში მინახავან მასწავლებელ-გუვერნიორნი დიღურის აკადემიისა. საზოგადოდ მოლას ნასწავლ-ნაკითხს კაცს ეძახიან. რამდენჯერ უთქვამთ ჩემთვის გლეხებს „კაი ნაკითხი“ მოლა გვყავსო. ჯილდოდ ამ ჯურის გუვერნიორ-მასწავლებელნი ფულს არ იღებენ. ასმევენ, აჭმევენ, ბინას გაუჩენენ, მორჩა და გათავდა. ესენიც მწიგნობრობენ მფარველის ოჯახში და ბავშვებს არაბულად წერა-კითხვას ასწავლიან. თუ შტატის მოლაა და მრევლი ჰყავს, მაშინ რასაკვირველია, ღვთის მსახურებასაც ასრულებენ და ემორჩილებიან სამაზრო კაზიას.

დარწმუნებით ვიცი, რომ მოზარდი თაობა დიდის გაჭირვებით ითვისებს არაბულსა მოლების სკოლაში. უცნაური აზრი მომივიდა, მოდი და ამ ჩემს ბოგველ მოლას ეგზამენს უზამ, გამოვცდი, თუ რამდენად იცის არაბული მეთქი. წიგნი არა მქონდა-რა, ნ. მარრის თხზულების გარდა: „Текстъ и разысканія по армяно-грузинской филологіи“, ტ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიერ ქვა არ უდევს მკერდში, გამოსძებნონ შესაფერი კაცი, ამოირჩიონ და მის ყოველ მოქმედებას თვალ-ყური ადევნონ და უკანონო ქცევისათვის მართლ მსაჯულებაა და ღირსიც იქნება ბოროტი და გაუტანელი კაცი სასჯელისა, აგრეთვე საჭიროა ყურადღება მიექცეს მეგირდების აყვანის წეს-რიგს, რა კაცია მისი აღმზრდელი და მასწავლებელი. ყველამ კარგად უნდა იცოდეს აღმზრდელს რა გავლენა აქვს აღზრდილზედ და ისიც კარგად გვესმოდეს: თუ ხარი ხართან დააბით, ან ფერს იცვლის ან ზნესაო. ბევრ ოსტატს ვიცნობ, ზნე წამხდარი, გაფუჭებული კაცია და იმასთან რა მეგირდი გამოიზრდება?! ბევრი ოსტატი ვიცი, სახლში ცოლსა და შვილებს ამსახურებს მთელი წელიწადი და მეტი. მრავალი ოსტატი მეგზურება, მეგირდებს სამიკიტნოებში ასადილებს სადაც უსუსურ ბავშვებს ათასი გამრყვნელი და გამათახსირებელი სიტყვები ესმის. დროა, ამათ საკეთილდღეოდ ვიზრუნოთ რამე და მეთვალყურეობის ქვეშ ვიყოლიოთ, თორემ ავი და უბედური შვილის ყოლას ავი ძაღლის ყოლა სჯობიანო, იტყვიან ხოლმე.

ს. მე—შვილი.

ჩვენებური ამბები

ზესტაფონი. აპრილის 30-ს, დღისით, აქაურ ნორმალურ სასწავლებლის დარბაზში მოხდა სამარხის კასის წევრთა წლიური საზოგადო კრება. კრებაზედ გამოცხადდა სულ 40 წევრი და, რადგან მეორედ იყო დანიშნული, კანონიერად იქნა ცნობილი და გაიხსნა საღამოს 5 საათზედ, ბ-ნ ი. ქადაგიძის თავმჯდომარეობით.

განსახილველი საგნები იყო: წარსულის 1902 წ. ანგარიშის დამტკიცება, გამგეობის და სარევიზიო კომისის წევრთა მოხსენება, ერთი გამგეობის, ერთის ნაცვლის და სამი სარევიზიო კომისის წევრთა არჩევა.

პირველად მოხსენდა საზოგადო კრებას 1902 წ. შემოსავალ-გასავლის ანგარიში და, გამგეობის და სარევიზიო კომისიის მოხსენებათა წაკითხვის შემდეგ, დამტკიცებულ იქნა. როგორც ანგარიშიდან სჩანს, კასას დაუწყია მოქმედება 1902 წლის 13 მაისიდან 1903 წლ. 20 თებერვლამდე ჩაწერილა კასაში სულ 270 წევრი, რომელთაგან საანგარიშო ხანაში გარდაცვლილა ერთი. სულ საანგარიშო ხანაში,—ათი თვის განმავლობაში,—კასის შემოსავალი ყოფილა 1154 მან. და 6 კაპ. ხარჯი 303 მან. და 95 კაპ. შემოსავალი ჰქონია შემდეგის წყაროებიდან: 1) ერთ-ხანობითი საწევრო შემოსატანი ფული (შემოსასვლელი) შემოსულა 270 წევრისაგან 540 მ. 2) პირველადვე შემოსატანი გადასახადი 270 წევრისაგან 337 მ. და 50 კაპ. 3) მეორე გადასახადი ერთი წევრის გარდაცვალებისა გამო 214 წევრისაგან 267 მ. და 50 კაპ. 4) ჯარიმა საწევრო გადასახადის დროზედ შემოუტანლობისაგამო 6 წევრისაგან 3 მან. 5) ფულის % სახელმწიფო სათადარიგო კასიდან 6 მ. და 6 კ.

ხარჯი ჰქონია შემდეგ საჭიროებათა გამო: 1) ერთი წევრის გარდაცვალების გამო მიუცია კასას სამარხ შემწეობად 218 მან. (რადგან იმ დროს წევრთა რიცხვი მეტი არ ყოფილა) 2) ქართულ და რუსულ წესდების 1500 ცალის დასაბეჭდი დახარჯულა 39 მ. და 70 კაპ. 3) საქმეთა წარმოების და საკანცელარიო საჭირო წიგნებისათვის, კვიტანციების, განცხადების, ბლანკების, საქმეების და სხვა-და-სხვა წერილების დასაბეჭდი 46 მ. და 25 კ. 20 თებერვლისთვის 1903 წლისა კასას ჰქონია ნაღდ ფულად ხარჯს გადარჩენილი 850 მ. და 11 კ., რომელიც შესდგება სხვა-და-სხვა თანხებისაგან, სახელდობრ: 1) 540 მ. ირიცხება ხელუხლებელ თანხად. 2) 270 მ. სახელდახელო თანხად, რომელიც უნდა მიეცეს საჭირო დროს მიცვალებულ წევრის ჭირის უფალს განცხადებისათანვე 24 საათის განმავლობაში. 3) 40 მ. და 11 კ., ირიცხება თავისუფალ თანხად. 540 მ., რომლის დანიშნულების მიცემის უფლება კასის სასარგებლოდ გამგეობას არ აქვს, საზოგადო კრებამ უმჯობესად სცნო დროებით შეტანილ იქნას სასარგებლოდ ერთ რომელსამე სახელმწიფო ბანკში და სახელდახელო და თავისუფალი თანხა 310 მ. და 11 კ. ადგილობრივ სახელმწიფო სათადარიგო კასაში.

როგორც გამგეობის, აგრეთვე სარევიზიო კომისიის მოხსენებიდან სჩანს, რომ 270 წევრთაგან სულ ცოტა რიცხვი მიუღია გამგეობას საჭირო ხნოვანების საბუთის წარმოდგენით და ზოგი კიდევ აღსარებითი სიიდან ამოწერილ ხნოვანების საბუთით (რასაც აღსარებითი სიიდან ამოწერილ საბუთის კომისიის წევრნი თავის მოხსენებაში სახელმძღვანელოდ უკრძალავს გამგეობას) და მეტი წილი წევრებისა მიღებულა უსაბუთოდ გამგეობის მოსაზრებისამებრ. წევრების ხნოვანების უსაბუთოდ მიღებაში გამგეობა იმართლებდა თავს მით რომ „რაც ჩვენში მეტრიკის ხმარება იქნა შემოღებული, სულ 30 წელიწადი თუ იქნება, და ჩვენ რომ წევრად ჩაწერის მსურველთათვის, ყველასათვის ნამდვილი მეტრიკის მოწმობა მოგვეთხოვა და ჩვენის მოსაზრებითაც არ მიგვეღო რამდენიმე, შეუძლებელი მეიქნებოდა ოცდა ათ წლიანებზედ ხნოვანები მიგვეღო წევრებად, რადგან არავინ, ვინც 30 წლისაზედ ადრე დაბადებულა, ნამდვილ მეტრიკის მოწმობას ვერ წარმოადგენს და ჩვენ თანახმად წესდებისა ნება გვაქვს 55 წლისანი მივიღოთო.

ამ საკითხმა საკმაო კამათი გამოიწვია წევრთა შორის და ბოლოს გამგეობის და სარევიზიო კომისიის წევრთა მოხსენების თანახმად, საზოგადო კრებამ დაადგინა: წევრთა მიღება მიენდოს გამგეობას და ნება ჰქონდეს, თუ საჭიროდ დაინახოს, რომელიმე წევრის მიღების დროს, მოსთხოვოს წევრს როგორც ხნოვანების ნამდვილი საბუთი, ისე ექიმის მოწმობაც.

უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ სარევიზიო კომისიის წევრნი თუმცა თავიდან ბოლომდე გამგეობის ყოველივე მოქმედებას, სისწორით და დანამდვილებით სწერდნენ თავიანთ მოხსენებაში და დასასრულ საჭიროდ რაცხდნენ, რომ გამგეობას მადლობა გამოცხადებოდა კრებისაგან, მაგრამ, ისინივე ყურადღებას აქცევდნენ კიდევ რამდენსამე საგანს და იწუნებდნენ კასის კვიტანციის წიგნებს და აგრეთვე საჭიროდ რაცხდნენ კიდევ ორ სხვა-და-სხვა რიგის წიგნების შემოღებას, რევიზიის დროს ყოველივე საქმეთა მდგომარეობის ადვილად გასაგებად.

ამავე კრებაზედ განაცხადა სურვილი რამოდენიმე წევრმა, რომ კასის წევრთა საკმაო რიცხვის შესრულების შემდეგ, წევრად მიღებაში უპირატესობა ჰქონოდათ წევრების ოჯახობას, რაც მეტის ხმით მიღებულ და შეტანილ იქმნა ოქმში.

დასასრულ კრებამ გამგეობას ერთგული და უსასყიდლო შრომისათვის მადლობა გამოუცხადა და ისევ ძველები დასტოვა, როგორც გამგენი აგრეთვე სარევიზიო კომისიის წევრნი და კანდიდატიც, რის შემდეგ კრებაც დაიშალა.

ზესტაფონელი.

რუსეთი

28 აპრილს რუსეთის გაზეთებში გამოცხადებულია შინაგან საქმეთა მინისტრის შემდეგი განკარგულება: 1) რადგან გაზ. „Право“ მავნებელ მიმართულებას ადგია, რაიცა, სხვათა შორის ნათლადა სჩანს ამ გაზეთის მე-18 ნომერში დასტამბულ წერილში სათაურად: „Кишиневская кровавая баня“, ცენზურისა და ბეჭდვითი საქმის წესდების მე-144 მუხლის ძალით ვუცხადებ პირველ გაფრთხილებას გაზეთ „Право“-ს რედაქტორ-გამომცემელთ: ს.-პეტერბურგის უნივერსიტეტის პრივატ-დოცენტს ვლად. გესსენს და კოლ. ას. ნიკ. ლაზარევსკის. 2) რადგან გაზეთი „Восходъ“-ი მავნებელ მიმართულებას ადგია, რაიცა, სხვათა შორის, ნათლად სჩანს ამ გაზეთის მე-17 ნომერში დასტამბულ წერილში „За Недѣлю“, ვუცხადებ პირველ გაფრთხილებას გაზეთ „Восходъ“-ის რედაქტორ-გამომცემელს ნაფიც ვექილს მაქს. სირკინს.

— გზათა მინისტრის განკარგულებით, საქონლისა და მგზავრთა მატარებლების ყველა ორთქლმავალზე უნდა იქნას შემოღებული ცეცხლის მქრობელი მოწყობილება.

— გზათა სამინისტროში უკვე შემუშავებულია პროექტი სოხუმის ნავთ-სადგურის მოწყობისა

— ფინანსთა სამინისტროს განკერძოებულმა საბჭომ განიხილა საკითხი იმის შესახებ, თუ რა წყაროებიდან უნდა გასცენ სახელმწიფო რკინის გზებმა სესხი გადასატან საქონლის გირაოდ. საბჭომ საჭიროდ სცნო, შემოღებულ იქმნას სახელმწიფო რკინის გზათაგან სესხის გაცემის ახალი წესრიგი. სესხი მხოლოდ სახელმწიფო ბანკის ხარჯით უნდა გაიცეს და ზარალი, რომელიც ამ ოპერაციებს მოჰყვება, ხაზინას უნდა მიეწეროს.

— ქ. ნიჟნი-ნოვგოროდში დაპატიმრებულია ადგილობრივი ექიმი როდზევიჩი, რომელმაც ხელობად გაიხადა მსურველ ქალთათვის განგებ მუცლის წახდენა. ამ ბოლო დროს ერთი ამგვარი ოპერაცია გაუკეთებია როდზევიჩს, მაგრამ ქალს ვერ აუტანია იგი და გარდაცვლილა.

უცხოეთი

ინგლისი. ოთხშაბათს ახალშენთა მინისტრმა ჩემბერლენმა საზოგადოებათა პალატას გააცნო დადგენილება, რომლის ძალითაც მთავრობა უზრუნველ ჰყოფს ტრანსვაალის 25 მილ. გირ. სტერ. სესხსა. ამასთანავე მინისტრმა წარმოსთქვა შესანიშნავი სიტყვა, რომელმაც ორ საათს გასტანა და დაწვრილებით განუმარტა საზოგადოებას ფინანსიური მდგომარეობა ტრანსვაალისა და ორანჟეს ახალშენთა.

პირველად ორატორი შეეხო იმ 30 მილ. გირვ. სტერ., რომელიც აღთქმისამებრ ტრანსვაალს უნდა ეზღო ომიანობის დროს ხარჯთა დასაფარავად. ახალშენიო—განაცხადა მინისმა—მეტად დაქვეითებულია, მაგრამ დიდძალი ბუნებრივი სიმდიდრე მოიპოვება ჯერ სრულიად ხელუხლებელიო; დიდად საყურადღებო და საჭიროა მცხოვრებთა კეთილდღეობის აღდგენა, ვინაიდგან მხოლოდ იგია უპირველესი თავმდები მკვიდრთა კმაყოფილებისა. ქონებრივად აღორძინება და გაძლიერება დამოკიდებულია ქვეყნის განვითარებაზე, რაიცა დიდს საჭიროებას მოითხოვს და, აი, სახელმწიფოც უპირველეს ყოვლისა, ვალდებულია მიაშველოს მას ეს საჭირო თანხა. რკინის გზის ლიანდაგთა გამრავლება საუკეთესო მაჩვენებელია მთავრობის გონივრულ პოლიტიკისა. გარდა ამისა, აუცილებლად საჭიროა გზებისა და სარწყავ არხების გაყვანა, განსაკუთრებით, მდინარე ვალის მიმდინარეობით სარგებლობა, რომ განყოფიერებულ იქმნას ახალშენთა თვალუწვდენელი მინდვრები. საჭიროა აგრეთვე ფერმერების ჩასახლება ამ ქვეყნებში. გადასახლებულთა უმრავლესობას ინგლისელნი უნდა შეადგენდნენ, მაგრამ იმიტომ-კი არა, რომ მკვიდრ ბურთა გადაშენება ჰქონდეს განზრახული მთავრობას, რადგან ეს, სხვა რომ არა იყოს-რა, ყოვლად შეუძლებელიცაა. შემდეგ ორატორი ისევ ახალშენთა მიერ აღთქმულ 30 მილ. გირ. სტერ. შეეხო და განაცხადა,—თავდაპირველადვე მთავრობას სწადდა, რომ ეს სახლაური ისე მიეღო, როგორც ნებაყოფლობით შემოწირული თანხაო. სამხრეთ-აფრიკაში ყოფნის დროს მე ავუხსენი ახალშენთა მკვიდრთ, თუმცა ახლად შემოერთებული ახალშენები იურიდიულად ინგლისის ბრძანებლობას ექვემდებარება, მაგრამ მთავრობას განზრახვა აქვს,—საერთო საიმპერიო საკითხთა გარემე, ისე მოეპყრას, როგორც თვით-მმართველობითს ახალშენებს. მხოლოდ ასეთს პოლიტიკასა აქვს ადგილი ტრანსვაალსა და ორანჟეს ახალშენებში, რომელთა მკვიდრნი ბურები სრულს თავისუფლებას არიან ჩვეულნი და ინგლისელთაც ხომ ძვალსა და რბილში აქვთ გამჯდარი თავისუფლების სიყვარული. როგორც ვუწყით, ჩემბერლენის წინადადებით, ტრანსვაალს 3 წლის განმავლობაში უნდა ეზღო 30 მილ. გირ. სტ., რომელიც ბრიტანიის მთავრობის უთავმდებოდ უნდა აეღო სესხად და მხოლოდ ტრანსვაალისავე შემოსავლით უზრუნველ ეყო. ორანჟეს ახალშენს-კი არა მოეთხოვებოდა-რა, რადგან ჯერ-ჯერობით ადგილობრივნი მკვიდრნი მხოლოდ ხვნა-თესვას მისდევენ, მაგრამ მაინც აღუთქვა მთავრობას 5 მილიონი გირვ. სტერლ., თუ-კი მინერალური სიმდიდრე აღმოუჩნდა. მაგრამ ყოველისავე ამის განხორციელება დამოკიდებულია იმაზედ, თუ პალატა ნებას დართავს 35 მილ. გირ. სტერლ. სესხსა ორთავ ახალშენის ასაღორძინებლად. ამ თანხის უმეტესი ნაწილი საჭიროა უკვე არსებულ ვალდებულობათა დასაკმაყოფილებლად. $1^{1}/_{2}$ მილ. ტრანსვაალში ბრიტანიის მმართველობის ხარჯთა დეფიციტის შესავსებლად; 3 მილიონით ბურებს გაუმართეს ხელი საქონლის შესაძენად; 1 მილ. შუა აფრიკის გზისათვის; 500,000 გ. სტ.—ბურების შინ დაბრუნებაზედ დაიხარჯა; გარდა ამისა, 2 მილ. სტ. ბრიტანიის ერთგულ კაპისა და ნატალის მკვიდრთ უნდა მიეცეს ჯილდოდ, რადგან დიდი ზარალი მოუვიდათ ბურების პირველ თავდასხმის დროს. დაკმაყოფილება დანარჩენ დაზარალებულთა, სამშობლოში დაბრუნება და მცხოვრებთათვის გადახდა იმის სადირალისა, რაც ჯარებს მოსდომებიათ,—2 მილიონს აღემატება; $2^{1}/_{2}$ მილიონიც 5%-იან სესხის კონვერსიას მოუნდება; გამოსყიდვა ყველა გზებისა—13 მილ.; დანარჩენ $9^{1}/_{2}$ მილიონიდგან 5—მილ. რკინის გზის ახალ ლიანდაგს დასჭირდება; $2^{1}/_{2}$ მილ.—საზოგადო სამუშაოებსა, გზა-ტკეცილებსა, სარწყავ არხებსა და სამეურნეო იარაღს; ყოველ წლიური სარგებელი—1,4 მილიონს შეადგენს. ეს სესხი ტრანსვაალმა უნდა იკისროს, მაგრამ გადახდა-კი, ალბად, ახალშენთა იმ საერთო ძირითად თანხით მოხდება, რომელიც ლორდ მილნერს სწადიან დაარსოს ახლო მომავალში ახალშენთა საერთო საბჭოს შემწეობით; უნდა ვიგულისხმოთ, რომ ეს საბჭო—ჩანასახია ფედერატიულ ორგანიზაციისა.

ეს საერთო თანხა უნდა შესდგეს შუა-აფრიკის გზის წმინდა მოგებისაგან, რომელიც, მილნერის გამოანგარიშებით, $2^{1}/_{2}$ მილიონამდე იქნება წლიურად. დასასრულ ჩემბერლენმა დიდი იმედი გამოსთქვა ტრანსვაალის ფინანსიურ მდგომარეობის შესახებ მომავალში: 1903—1904 წლის ხარჯთ-აღრიცხვით $4^{1}/_{2}$ მილ. გირ. სტერლ. შემოსავალი ექმნება და მხოლოდ 3 მილ. გასავალი. ორანჟეს ახალშენს-კი 500,000-მდე ექნება შემოსავალი და კიდეც დააკმაყოფილებს გასავალსაო.

ნარკვევი

კრუშევანი, გაზ. „Бессарабецъ“-ის რედაქტორი, რომლის სახელს ზიზღით იხსენიებენ საუკეთესო რუსეთის გაზეთები, ცნობილია, როგორც ებრაელთა მიმართ მძულვარების მთესავი ხალხში. იგი არ სცხრება და შემდეგ აზრებს გამოსთქვამს ებრაელთა შესახებ.

> ებრაელნი ან უნდა გადასახლდნენ თავის ძველ სამკვიდროზედ, აღადგინონ თავისი ძველი სამეფო და დამოუკიდებლობა, ან უნდა სავსებით შეესისხლხორცონ იმ ქვეყნის ხალხს, სადაც დღეს ცხოვრობენო. რუსეთში ებრაელებმა უნდა უარჰყონ თავისი სარწმუნოება, განკერძოება, ყველა ნაციონალური თვისებანი და სრულებით უნდა შეესისხლხორცონ რუსებს, რუსებად უნდა გარდაიქცნენო.

კრუშევანი რიხიანი პუბლიცისტია, სუვორინის, გრინგმუტის და კომპანის სკოლაში განსწავლული. მისი ბრძანებლობითი კილო—განდიდების მანიის შედეგია. ამ კილოს ხშირად შეხვდებით ბ. სუვორინის, გაზ. „Нов. Вр.“-ს რედაქტორის, წერილებში. ძველად, საფრანგეთის მეფესავით, ეს პუბლიცისტები მზად არიან, აღიარონ, „სახელმწიფო ჩვენა ვართო“. სულით ავადმყოფნი, განდიდების მანიის მსხვერპლნი, შეითვისებენ ხოლმე ალექსანდრე მაკედონელის, ნაპოლეონ I-ს და სხვა გამოჩენილ საისტორიო პირთა სახელს და თავი მოაქვთ ამით. ბრძანებითი კილო აქვთ ამ სულით-ავადმყოფთ. ისინი დარწმუნებულნი არიან, რომ მთელი ხალხი მათ მისჩერებია, მათი მონა-მორჩილია.

სუვორინი, კრუშევანი, პალმი და კომპანია განდიდების მანიის მსხვერპლნი არიან, ვრცელი სახელმწიფოს მკვიდრნი არიან ისინი და ამ ქვეყნის სივრცემ მათ საღერღელი აუშალა, დაბადა მათში უზომო მადა, აულაგმავი, აღვირ-ახსნილი ამპარტავნობა, ხალხთა-ყლაპიებად გახადა ისინი. ბუნების მეცნიერთაგან ნათლადაა გამორკვეული, რომ ყველა სულდგმულნი, რომელთაც უზომო, დიდი სტომაქი აქვთ, სულით ღატაკნი არიან ხოლმე. უზომო მადა, გაუმაძღარი ინსტიკტი, სულ-მოკლე ადამიანის თვისებაა. მისი აზროვნება ვიწრო ფარგალში ტრიალებს. თავი-ქვეყნის ცენტრად, შუა-გულად მიჩნიათ ამისთანა ქმნილებათ და ყოველ აზრს, მათგან გამოთქმულს, აქვს რიხიანი ფორმა და ფუქსავატი შინაარსი.

—

ქ. პეტერბურგში პროფ. ი. რ. თარხნიშვილს წაუკითხავს ლექცია რუსეთის ცნობილ ბელეტრისტის მ. გორკის შესახებ. ბ-ნი თარხნიშვილი შეეხო მ. გორკის გმირებს „ბოსიაკებს“, როგორც ბიოლოგიურ ტიპებს.

> თავისი ლექციის დასაწყისში პროფესორმა განმარტა შემდეგი საკითხი: რა ნიადაგი შექმნის ხოლმე ისეთს ტიპებს, როგორც ლუკა, სატინი და სხვა მ. გორკის გმირებია? ჩვენ უნდა შევეხოთ მათ წარსულ ცხოვრებას, უნდა გავსინჯოთ, რა ნაირ ცხოვრების გარემოებათა შორის არსებობდნენ ისინი და მხოლოდ მაშინ შეგვიძლიან გადაჭრით ვსთქვათ, როგორ დაეცნენ ისინი ცხოვრების „ფსკერზედ“. სიცივე, სიმშილი და არაყი—აი, ადამიანის დამღუპველი სამი ფაქტორი. თუ ადამიანს მათთან საბრძოლველად ხასიათის სიმტკიცე არ შესწევს, იგინი ძირს გამოუთხრიან მისს სულისა და სხეულის ძალ-ღონეს. მათგან დაჩაგრული ადამიანი სნეულდება სულით, ჰალიუცინაციები, სხვა-და-სხვა გვარი მოჩვენებანი აწუხებენ, დევნისა და განდიდების მანია ეუფლებაო. უეჭველია, რომ მ. გორკის გმირის, სატინის სიტყვები—კაცობრიობის შესხმა—სულით ავადმყოფი ადამიანის სიტყვებია.
>
> ადამიანი—რა დიდებული სიტყვაა—ამბობს ნაგავზე მწოლარე სატინი. რამ ჩაუნერგა გულში ეს „დიდებულების“ გრძნობა ამ უძლურს, ცხოვრების ფსკერის წარმომადგენელს? რასაკვირველია, მუდმივმა სიმშილმა, გაჭირვებულმა ცხოვრებამ ძარღვები აუშალა და დაასნეულა ეს კაცი.

IV. გადუშალე ლექსიკონი, სადაც ბ-ნ მარრს მოყვანილი აქვს უცხო ენებიდგან ქართულში შემოტანილი სიტყვები. ასეთს ნასესხებ სიტყვებს არაბულად და სპარსულადაც უწერია გვერდით. მოლამ მკაფიოდ წაიკითხა: ალამი, ათაბეგი, ალვა, ალი, ალმასი, ამბარი (ароматъ), ბალჩა და სხვ.

— მოლა, კარგად ყოფილხარ ნაკითხი,—მოვუწონე კითხვა,—ქართულად ჩემსავებრ ლაპარაკობ და ნუთუ ქართული წერა-კითხვა არ იცი?

— რად მინდა, ბატონო, ქართული, რაში უნდა გამოვიყენო?—მკვირცხლად მომიგო აკადემიკოსმა მოლამ.

ამ პასუხიდგან ნათლადა სჩანს, რა ულმობელის თანდათანობით ეკარგება ფასი ქართულსა და გამოუსადეგარი ხდება. მას შემდეგ, რაც მთავრობამ ქართველი-მაჰმადიანი „თათრად“ აღიარა, სულ ბოლო ეღება ათასწლოვან ქართულსა. ქართული ენის გადაშენების პროცესი ჯერაც არ შეჩერებულა და, ვერ წარმომიდგენია, ამ ფრიად საყურადღებო საგანს ასე გულ-გრილად რად ეკიდება ჩვენი ყოველ-დღიური ლიტერატურა.

შარშან, შარშან-წინ მთავრობამ მოახდინა რეფორმა ადგილობრივი მართვა-გამგეობისა აჭარაში, სადაც დღესაც წმინდად ლაპარაკობენ ქართულს გურული კილოთი. განმეორდა ბედშავი შეცდომა (роковая ошибка). აჭარელების სამშობლო ენად აღიარეს ოსმალური—თათრული, სწორედ ისე, როგორც ახალციხის აღების შემდეგ პასკევიჩის მიერ, მესხეთის ქართველ-მაჰმადიანობას უწოდეს თათრები. ასეთი ისტორიისა და ბუნების წინაამდეგი შეცდომის გამო სასოფლო სამმართველოებში აჭარის მხარეს, მოიწვიეს ისეთი მწერალნი, რომელთაც უეჭველად უნდა იცოდნენ სახელმწიფო ენის გარდა მხოლოდ თათრული. მკითხველი ადვილად მიხვდება, თუ რა ხეირი დაეყრება ქართულსა აჭარა-ქობულეთში. ბათუმიდგან ტრაპიზონამდე წკრიალით გაისმოდა ქართულ-ჭანური და ამ შეცდომის წყალობით, არ გაივლის 20—30 წელიწადი, რომ სრულიად მოისპობა მოთა-რუსთაველის ენა და მერმე, ვგონებ, ქართულის შესასწავლად მხოლოდ ფრონის ხეობანი-ღა დაგვრჩება, ვინაიდგან ეს ხეობანი შუაგულ ქართლშია და ჯერ იერიში, აქ არავინ მოგვდგომია.

საუბრის დასასრულმა მცირედი იმედი მომცა საქმის გამოტრიალებისა, თუ სავსებით, დიდი და პატარა, შევიგნებთ ჩვენს მოვალეობას და ერთმანეთის ლაფში ამოსვრის მაგიერ მედგრად ვიშრომებთ და გავაკეთებთ, რის გაკეთებაც შეგვიძლიან, ან უფალმა რისუნარიც გვიწყალობა.

— რაკი შეიტყო ფოცხოვის უფროსმა მიხაკო ხერხეულიძემ,—სთქვა ბოლოს მოლამ—რომ სკოლაში (ასე ამბობენ აქ მესხეთის ქართველ-მაჰმადიანნი) ქართულად მოლაპარაკე ბიჭები სწავლობენო,—იქ ხომ ქართული არავინ იცის, მამინათვე მობძანდა, მოგვიკითხა, ერთად დაგვაგროვა და სულ თავზედ ხელს გვისვამდაო. სახე სულ უცინოდა, მხიარულებდა და მამინათვე უბრძანა ჩაფრებს, რომ ჩვენთვის კრავი დაეკლათო. მოლებს უბძანა, თუ ეს ბიჭები გაგილახიათ, აქ აღარავის გაბოგინებთო. ბევრჯელ ყოფილა კნიაზი ჩვენსას და პატივი უციაო.

ამ მხარეს თავადი მიხეილ ხერხეულიძე განთქმული ყოფილა უზომო, წმინდა ქართველური გულუხვობით, სტუმართ მოყვარეობით და მასპინძლობით. დღევანდელს ქართველს ინტელიგენტს, ცოტა არ იყოს, ეხამუშება წრეს გადასული სტუმართ-მოყვარეობა, მაგრამ რას იზამ, როდესაც ჯერ ჩვენთვის ჩვეულება რჯულზედ უმტკიცესია. მე პირადად კარგად არ ვიცნობ თ. ხერხეულიძეს (მხოლოდ ერთხელ ვნახე ტფილისში, სადაც ბანკში დაგირავებულ მამულის საქმეს არიგებდა), მაგრამ დავრწმუნდი-კი, რომ მისი შესანიშნავი გულუხვობა და პურ-მარილი ბევრს დავიწყებია და ირონიით მოუგონია წარსული ლხენა-ქეიფი. დიაღ, სწორედ რომ საჭიროა წინადვე გავითვალისწინოთ ხოლმე, ვის ვუღებთ სახლის კარსა, ვის ვუმასპინძლდებით და ვის ვაძლევთ სალამსა. ეროვნების შესანახად და მის გასაძლიერებლად სწორედ რომ საჭიროა ყველა ესა და უპირველესად ნივთიერი ძალ-ღონე.

ამ ისედაც ყოვლის მხრივ რიგიანი კაცის პურმარილი ბევრს „ნასწავლს“ დავიწყებია, არ დავიწყებია მხოლოდ მისი ქართველური გული და სიყვარულით აღსავსე ორიოდე ტკბილი სიტყვა ბოგელ მოლასა.

— ბატონო, ეხლაც რომ მოვიგონებ კნიაზსა, პირზე ნათელი მადგებაო, რომ იცოდეთ, რა კაცი იყოვო...—ასე ლაპარაკობდა მოლა.

მე კი ისე ვფიქრობ, რომ ეს წარუხოცელი კავშირი ამ ორ ადამიანს შორის გაუბამს სამშობლო ენას, მის მიუწდომელს და უხილავს ძაფებსა. გულს გული იცნობს და სულს სულიო. ასეთი გაცნობა ხვედრია მხოლოდ სამშობლო ენისა, უმისოდ ერთმანეთისას ვერას გავიგებთ და სამუდამოდ დავშორდებით.

ა ფრონელი.

მხნე, ენერგიული მოქმედება არ შეუძლიანთ სატინის მაგვარ კაცებს. მათი სხეულის სითბო შთანთქა სიმშილმა და სიცივემ, დაჩაგრა ისინი ფიზიკურად, ასე რომ, მათ არც-კი შეუძლიანთ თავის თავზე ზრუნვა, თავისი თავის გადარჩენა. და სულ უფრო და უფრო იფლებიან ცხოვრების ტალახში. მოუმატეთ ყველა ამას არაყი, უვიცობა, მემკვიდრეობით შეძენილ ხასიათის თვისებანი—და თვალ წინ წარმოგიდგებათ მ. გორკის ტიპების შემქნელი ნიადაგი.

ნარევი და ნაკვესი

ნაპოლეონის მსხვერპლი. სახელოვანმა ევროპის დამპყრობელმა ნაპოლეონ პირველმა თითქმის ათი წელიწადი იმეფა 1804 წლის 18 მაისიდგან 1814 წ. 3 აპრილამდის. მისი მეფობა ევროპასა და კერძოდ საფრანგეთს ძვირად დაუჯდა. აი, რას მოგვითხრობს სენატის არხივში დაცული ერთი დეკრეტი: 1805 წ. ნაპოლეონ მეფის ჯარისთვის იყო გამოწვეული 800,0000 მეომარი; 1807 წ.—80,000; 1808 წ.—240,000, 1809 წ.—76,000; 1810 წ.—120,000; 1811 წ.—160,000, 1812 წ.—237,000, 1813 წელს 100,300 კაცი. ეს სულ ორ მილიონზედ მეტს შეადგენს, ამას უნდა მივუმატოთ კიდევ ისინი, ვინც თავის ნება-ყოფლობით ეწერებოდნენ სახელოვან მეომარის ჯარში; აგრედვე ისინიც, ვინც 1814 წლის დამდეგს გამოიყვანეს; ასე რომ ნაპოლეონის იმპერატორობის დროს, სულ ცოტა, სამი მილიონი ჯარის-კაცი იყო გამოწვეული. როცა ნაპოლეონ დამარცხდა, დასახიჩრებულთა და ტყვეთა რიცხვი 802,600 კაცს აღემატებოდა. ათის წლის განმამავლობაში ნაპოლეონის დიდება საფრანგეთს 2,200,000 კაცი დაუჯდა, საშუალო რიცხვით წელიწადში უჯდებოდა 244,000 კაცი; ამას მივუმატებთ იმასაც, სხვა სახელმწიფოებში, რამდენი რუსი, ნემეცი, ესპანელი, იტალიელი და სხვანი გაწყდნენ, აგრედვე იმას, რამდენი ქალი და ბავშვი იქმნა მოკლული და რამდენი ადამიანი შეთქმულობისათვის ჩამოხრჩობილი. უნდა დავასკვნათ რომ ეს „ღვთის რისხვა ნაპოლეონი“, როგორც უწოდებენ ბევრნი ისტორიკოსნი, არაფრით ჩამოუვარდება ჟამს და ხორველას, ამ კაცობრიობის შეუბრალებელ მტრებს.

გადაფურთხების სასტიკად აკრძალვა. რუსეთის ნიუ-იორკის საკონსულოს მდივანმა ნახევარ დღე გაატარა საპყრობილეში მხოლოდ იმიტომ, რომ ჩატგამის-სკვერის სადგურის ბაქანზე გააფურთხა ერთხელ. ნიუ-იორკის კანონებით სასტიკად აკრძალულია ქალაქის ქუჩებში გაფურთხება. ეს კანონი დაარღვია რუსეთის საკონსულოს მდივანმა, რისათვისაც იგი პასუხის-გებაში მისცეს. მსაჯულმა ერთი დოლარით დაჯარიმება მიუსაჯა, მაგრამ რადგან მდივანს შემთხვევით არ შეესწრო ჯიბეში ეს ფული, რომ ჯარიმა გადაეხადნა, სატუსაღოში გაჰგზავნეს, სადაც ნახევარი დღე დაჰყო, ვიდრე რუსეთის საელჩოს ვექილი არ მივიდა და მდივნის მაგიერ ფული არ შეიტანა.

გაზეთ „Matin“-ის კორესპონდენტს გამოუანგარიშებია და ამბობს; საფრანგეთში რომ ეს კანონი გამოიცეს და აღსრულებაშიც მოიყვანონ, ჯარიმით იმდენი ფული შეიკრიბება, რომ სახელმწიფოს დეფიციტს დაჰფარავსო.

ლამაზი მებუფეტე ქალი. ქ. ბუგლმის საზოგადო საკრებულოში საკრებულოს გამგეთ მებუფეტედ მიიწვიეს ახალგაზდა და ლამაზი გასათხოვარი ქალი ქ-ნი ბ. ამ ქალს, რადგან საკრებულოს წევრნი დიდს ყურადღებას აქცევდნენ, წინ აღუდგნენ ამ ქალაქის გათხოვილი ქალები და მოითხოვეს საკრებულოს გამგეთაგან მებუფეტე ქალის განძევება. ქალების თხოვნა გამგეთა არ შეიწყნარეს, რაზედაც უფრო განრისხდნენ ქალები და ერთხმად გადასწყვიტეს, არავინ მათგანი კლუბში არ წასულიყო, სანამ ქ-ნ ბ-ს არ დაითხოვდნენ. ამ საშუალებამ გასჭრა და მებუფეტეც დათხოვნილ იქმნა. ქალებს მხარი დაუჭირა ერობის გამგეობის წევრმა ბელოვმა, რომელსაც ეს გამოსარჩლება სიცოცხლედ დაუჯდა: როდესაც ერთ საღამოს ხალხი კლუბში შეიკრიბა, აქ ქ-ნი ბ-ც მოვიდა და ბელოვი რევოლვერით მოჰკლა. დამნაშავე მყისვე დაატუსაღეს, მაგრამ მეორე დღეს ქ-ნმა ბ., შეირჩია დრო და რევოლვერით თავი მოიკლა.

წერილი
რედაქციის მიმართ.

ბატონო რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ ნება მიბოძოთ თქვენის პატივცემული გაზეთის საშუალებით უღრმესი მადლობა გამოვუცხადოთ იმ ახალგაზდა ქართველ ქალთ, რომელთაც არ დაიშურეს თავიანთი წვლილი საყმ. ჟურნალ „ჯეჯილის“ დასაკვეთად გორის სამრევლო სკოლებისათვის. სია შემომწირველთა: ნინო ციცაგი 80 კაპ., ქ. გარაყანიძე 1 მან., ნადეჟდა კაპანაძე 50 კაპ., მარიამ კაპანაძე 50 კაპ., ვერა მთიულიშვილი 1 მან., ოლა ფანჯაკიძე 50 კაპ., ქეთო ჯავახიშვილი 1 მან., ნინო მაჭავარიანი როსაფის ასული 1 მ., სოფიო ბეჟანოვი 40 კაპ., ნინო ხორბალაძე 30 კ., მარო ყანჩელი 50 კ., მ. მაკალატია 50 კ., თამარა აბაშიძე 50 კ., ანა სოლოღაშვილი 50 კ., ლიზა მელიქიშვილი 1 მ. სულ ათი მანეთი. ეს ფული უკვე გარდავეცი „ჯეჯილის“ რედაქციას.

ნატო ყორბესაშვილი.

II

ბ-ნო რედაქტორო!

გიგზავნით 12 მანეთს და უმორჩილესად გთხოვთ თქვენის გაზეთის „ივერიის“ საშუალებით გამოაცხადოთ სია იმ პირთა, რომელთაც არ დაიშურეს თავიანთი წვლილი ისეთი სიმპატიური საზოგადოებისათვის, როგორიც წერა-კითხვის საზოგადოებაა. მიხეილ დავითის ძე გუბელაძემ 2 მ., კონსტანტინე ვაშაკიძემ 2 მ. 25 კ., ნინო გუბელაძემ 75 კაპ., ნოე სევ. კოროშინაძემ 2 მ., ილიკო მებუკემ 2 მ., ეკ. კოსტ. კასტორსკისამ 1 მ., ლარისა სარჩიველიამ 1 მ., ვლად. ანდრონიკოვმა 1 მ.

ფული გადაეცა ხსენებულ საზოგადოებას.

ოლღა კონსტანტინეს ასული გუბელაძისა.

„ივერიის“ ფოსტა

ახალქალაქს. ბ—ნს დ. მ—ს. თქვენი წერილი არ დაიბეჭდება.

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

2 მაისი.

სტამბოლი. მიუკერძოვლმა და ზედ-მიწევნილმა გამოძიებამ აღმოაჩინა, რომ საიდუმლოდ შემოტანილ იქმნა დიდ-ძალი დინამიტი, მაგრამ ეს დინამიტი მიუღიათ არა ბოლგარიიდან, არამედ ბელგიიდან საბერძნეთის გზით.

ლენქორანი, 1 მაისს დღისით რაზმი მოსამზღვრე დარაჯთა ჩაუვარდა ხელში ტყეში ჩასაფრებულ სპარსელ ავაზაკებს ლენქორანს ახლოს. მოკლულ იქმნენ როტმისტრი და ორი ჯარის კაცი.

სტამბოლი. ის ამბავი, რომ ვითომ დიდი ვეზირი სამსახურიდგან გადადგომას აპირობსო, საფუძველს მოკლებულია.

ხონთქარმა განმეორებით ბრძანა, რომ სასტიკ დონის ძიებათა მიღების დროს ბოლგარიის კომიტეტების წინააღმდეგ, არას გზით ნება არავის მისცეთ ძალ-მომრეობას მიჰმართონ იმათ მიმართ, ვინც უბრალოა და არაფერში არ ურევია. ამ ბრძანების შეუსრულებლობისათვის პასუხის-მგებელნი იქმნებიან მთავრობის ყველა ორგანოები.

პორტა აცხადებს, რომ მონასტირში და მის მიდამოთა შორის მშვიდობიანობა და წესიერება იქმნა აღდგენილი.

პეტერბურგი. 2 მაისს იყო უმაღლესად აღლუმი ჯარებისა.

3 მაისი.

პეტერბურგი. მისმა იმპერატორებითმა უდიდებულესობამ ყვილა ნაწილი ჯარისა, რომელიც მონაწილეობას იღებდა მაისის პარადში,—მშვენიერ მდგომარეობაში მყოფი და წესიერად მოწყობილი სცნო და ამისათვის გულითად მადლობას უცხადებს მის იმპერატორებით უმაღლესობას მთავარ სარდალს გვარდიის ჯარისას და პეტერბურგის სამხედრო ოლქისას; უმაღლესად მადლობას: კორპუსთა უფროსებს გენერალ-ადიუტანტ ბარონ მეინდორფს და გენერალ ლეიტენანტთ ლასკოვსკის და თავ. ვასილჩიკოვს და მონარქის მადლობას დანარჩენ უფროსთ.

„მთავრობის უწყებაში“ დაბეჭდილია დაწვრილებითი მოხსენება უსკიუბში მყოფის რუსეთის საკონსულოს მმართველისა რუმელიის სამს ვილაიეტებში რეფორმათა შემოღების საქმის შესახებ.

იალტა. იალტიდგან სამს მილზე გემმა „ბათუმმა“ დახრჩობისაგან გადაარჩინა მოსამსახურენი ორთქლით მავალ ნავისა, რომელიც ზვირთთა შეხეთქებას გადაებრუნებინა. ამ ნავის ერთი მოსამსახურეთაგანი დაიხრჩო.

სტამბოლი. იტალიის საელჩომ შეატყობინა პორტას, რომ იტალიის ესკადრის დივიზია სალონიკს თავს ანებებსო და დროებით სტოვებს ერთ ჯავშნიან და ერთსაც ნაღმიან გემსაო.

სოფია. მინისტრ-პრეზიდენტმა დანევმა და კაბინეტმა სამსახურიდგან გადადგომის თხოვნა შეიტანეს.

სტამბოლი. გაზეთების ცნობა იმის შესახებ, ვითომ ხონთქარის ირადეს ძალით, ყველა ბურგარელები, რომელნიც ბულგარეთის სამთავროს ეკუთვნიან,—აქედგან გაიგზავნენო,—მართალი არ არისო. აგრედვე საფუძველს მოკლებულია ის ცნობაც, ვითომც პროვინციებში მყოფი ბულგარები უნდა დაბრუნდნენ სამთავროშიო.

ცნობანი უსკიუბში და მონასტერში ბულგართა დახოცვისა და ძლეტის შესახებ, რომელიც ვითომც ახლახან მომხდარიყოს, მართალი როდია.

პეტერბურგის ბირჟა, 2 მაისი

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონში 10 გირვ. სტ.	93,95
ბერლინში 100 მარკაში	45,25
პარიჟში 100 ფრანკში	—
ლონდონში ჩეკები	94,85
ბერლინში ,,	46,30
პარიჟში ,,	37,75
ბირჟის დისკონტი	5—6½%
4% სახელმწიფო რენტა	98½ გაყ.
4% სახ. სესხი 1902 წ.	100⅞ მყიდ.
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა	95⅜ წვ. მყიდ.
5% 1-ლი შინგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	37 გაყ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	335½ წვ. გაყ.
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა	287½ გაყ.
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	—
4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	—
5% ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ.	—
4½% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა	—
6% ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის გირ. ფურცლ.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—
პაები ძმ. ნობელის სანავთო მრეწვ.	9800 წვ. გაყ.
აქციები ,, ,, ,,	485 წვ. გაყ.
,, კასპიის ამხანაგობისა.	3725 წვ. გაყ.
,, ბაქოს ნავთის საზოგად.	401 გაყ.
,, ა. ი. მანთაშევისა და ამხ. ნავთის სამრეწვ. საზოგად.	196 წვ. გაყ.

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

18 აპრილიდგან.

(ნაჩვენებია ტფილისის საათით.)

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათუმს:—1) სწრაფი მატარებელი № 1 დილის 10 ს. 37 წ. 2) საფოსტო № 3 საღამოს 6 ს. 18 წ. 3) სამგზავრო № 5 დილის 7 ს. 49 წ.

ბაქოს; 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით, პირდაპირ მოსკოვამდე) ნაშუადღევის 4 ს. 24 წ.; 2) საფოსტო № 4 დილის 11 ს. 49 წ.; 3) სამგზავრო № 6 ღამის 11 ს. 32 წ.

ყარსსა და ერევანს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 12 ს. 30 წ.; 2) სამგზავრო № 90/91 შუადღის 12 ს. 38 წ.

ბორჯომს: 1) სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. 58 წ.; 2) სამგზავრო № 9/10 დილის 6 ს. 21 წ.

ბ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) სწრაფი № 2 ღამის 11 ს. 22 წ.; 2) საფოსტო № 4 საღამოს 10 21 წ.; 3) სამგზავრო № 6 დილის 10 ს. 37 წ.

გ) ბაქოდგან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მარტო ტფილისამდე, პარასკეობით, მოსკოვიდან მომავალი) ღამის 4 ს. 40 წ. 2) საფოსტო № 3 საღამოს 10 ს. 16 წ.; 3) სამგზავრო № 5 ნაშუადღევის 2 ს. 01 წ.

დ) ქუთაისიდგან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: ღამის 1 ს. 58 წ.; დღის 2 ს. 23 წ.

ბათუმისაკენ: ღამის 1 ს. 58 წ.; დღის 2 ს. 23 წ.; დღის 4 ს. 48 წ.

ზორაპნისაკენ: დღის 3 ს. 8 წ.

განცხადება

ტფილისის ქალაქის გამგეობა

ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ ქ. ტფილისში, ცხენების იარმუკის წესდების ძალით, რომელიც დამტკიცებულია მთავარმართებლისაგან, ამა მაისის 5-დან გაიხსნება ცხენების იარმუკა და გაგრძელდება 18 მაისამდე. ზემო დასახელებულ იარმუკისათვის ადგილი დანიშნულია დიდუბეში ცხენების მოაშენებელ კავკასიის საზოგადოების დოღის გასამართავ მეიდანზე,

(3—6—3)

ტფილისის ქალაქის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ საჭიროა სადგური ქალაქის ორი სკოლისა და საქალებო პროფესიანალურ სკოლისათვის 1, 2, 3, 4 და 5 პოლიციის უბნებში.

პირობათა შესატყობათ მიჰმართონ მმართველობის კანცელარიის პირველ განყოფილებას. (3—6—1)

„GRAND PRIX“
PARIS 1900.
Т-во Высшей парфюмеріи
А. Ралле и К°
„Золотой Ирисъ“

საკოსმეტიკო მასალა
БЕРТА РИСЪ

მის იმპერატორ. უდიდებულესობ. კარის ვაჭარი

Pasta Eugénie საცხებელი (პუდრა) პირი-სახისათვის, რომელიც აქრობს სწრაფად მზისაგან ალანძულებას, ჭორფლს, სიწითლის ლაქებს არბილებს პირისახის კანს, აგრედვე სიახლესა და სილამაზეს აძლევს სახეს. ფასი 1 მ. 60 კაპ.

პუდრა-Eugénie თეთრი, ვარდის ფერი და რაშელი. მაგრად ეკვრის კანს და თვალისათვის უჩინარია; აგრედვე აძლევს პირის-სახის კანს შესანიშნავს სირბილეს, სიფაფუკესა და სინაზეს. ფასი 1 მ. 20 კ. შესაფქვევის ბუმბულის კანით 1 მ. 50 კ.

ფერ-უმარილი-Eugénie (წყალივით არის) და აძლევს ღაწვებს და ყურებს სრულიად ბუნებრივს ვარდის ფერს, რომელსაც არ ეშინიან არც დღისა და არც ელექტრონის სინათლისა. ფასი 1 მ. 50 კ.

Elixir-Mélange წყალივით სახმარია თმის აზრ-ს დელად და თავში ქერტლის გასაწყობად. ფასი 2 მ.

დაფნის ბალზამი (პუდრაა წყალივით) აძლევს პირი-სახეს, ყელს, ხელებს და სხვ. ნაზს სირბილეს და მარმარილოს მსგავს სისუფთავეს. აქრობს მზისგან ალანძულობას, ჭორფლს და კანის ყოველსავე ძიძობებს. ფასი 1 მ. 75 კ.

ქინაქინ-გლიცერინის-მიერი თმის საცხებელი (პომადა) პერუს ბალზამით შეზავებული გასამაგრებლად, გასახშირებლად და გასაზრდელად თმისა. ფასი 2 მან.

საღებავი თმისა (რის-გუტმანი): შავი, მიხაკისფერი, შატენი და ბლონდი. ამ საღებავით შეღებილი თმა 6 კვირის განმავლობაში შეირჩენს ფერს; შემდეგ არ მიიღებს არც მოწითანო და არც ჯიგრის ფერს. ფასი 3 მან.

უნგარული ესენცია ულვაშებისათვის (რის-გუტმან) აძლევს ულვაშებს სასურველს ფორმას, ამაგრებს და ხელს უწყობს მათს სწრაფს ზრდას. ფლაკონი პატარა სარკით აღვილად შეინახება ჟილეტის ჯიბეში. ფასი 75 კაპ.

ტოკაის ბალზამი (ქიმიკოსის რისგუტმანისა) აქრობს ბებერებსა და მეჭეჭებსა, აქრობს ძირიან ფესვიანად. ფასი ფლაკონისა—80 კ.

უმთავრესი საწყობი ტფილისშია. საათფ. საქონ. ვაჭრ. ამხ.-ში და ყოველ საათფიაქო მაღაზიაში.

ტექსტი ამოღებულია „Прав. Вѣст.“-იდან, № 233 1901 წ. (80—17)

გამოვიდა და იყიდება ყველგან

„ქართვ. შორის წ.-კითხვის გამავრცელ. საზოგადოების“ მიერ ახლად გამოცემული წიგნი

ბარტექ ძლევამოსილი

ჰენრიკ სენკევიჩისა

IV+106 გვ. ფასი 20 კაპ.

ქუთაისში

ს. მ. ბ. თოფურიას

სამკურნალოში,

რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის** მფარველობის ქვეშე, 60 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

წმიდა ათონის მთიდგან.

ჩვენ ქართველთა ძმანი ივერიის ახალი სავანისა წმიდის დიდებულის იოანე მახარობელისა და ღვთის-მეტყველისანი, ვსთხოვთ სრულიად საქართველოს საზოგადოებას, ღვთის მოყვარეთა და იესო ქრისტეს მცნების აღმასრულებელთა, რათა ყურად იღონ ჩვენი გაჭირვებული ცხოვრება, ვინაიდგან ქართველთა აღშენებული ჩვენი ძველი ივერიის მონასტერი ძალ-მომრეობითა და უსამართლოდ მიიღეს, და სრულიად მიითვისეს თავისის სიმდიდრითა და მამულებითა ბერძენ ბერთა, და სუფევენ მას შინა, ვითარცა ფაშა. და არა რას მისგან ჩვენ არ გვაძლევენ, და ჩვენ ვიტანჯებით აუცილებელის საჭირო წყალის უქონლობისა გამო; ვინაიდგან წყარო გამოდის სამის ვერსის მანძილზედ და ამას სჭირდება მილით მოყვანისათვის სამი ათასი მანეთი. ჩვენ-კი სრულიად არა რაი გვაქვს. ამისთვის გთხოვთ ყოველთა ღვთის-მოსავთა ქართველთ სასულიეროთა და საეროთა, პატივცემულთა ვაჭართა, და ყოველთა მოხელეთა შეგვეწიონ, რაოდენითაც შეუძლიანთ ღვთის მცნების აღსრულებისათვის.

ჩვენი ადრესი:

Турція (черезъ г. Батумъ).
На св. Аѳонскую гору, въ Русскій св. Пантелеймона Монастырь, Архимандриту отцу Андрею для передачи въ Обитель св. Іоанна Богослова старцу Іеромонаху отцу Іонѣ съ братіею.

(10—9)

ახალი წიგნები

გამოვიდა და იყიდება ყველა ქართ. წიგნის მაღაზიებში.

სოსიკო მერკვილაძის მიერ გამოცემული ახალი წიგნები:

სიმღერა აკაკისა. ფასი	15 ,,
თამარ მეფის სურათი აკაკის ლექსით	6 ,,
პატრე ჩონგური ლექსი (დედა-ენა)	5 ,,
თამარ მეფე მოთხრობა აკაკისა	5 ,,
ვაჭრული ჭკუა, ლექსი აკაკისა	5 ,,
დათუნა გოცირიძე **როსტომ ერისთავი** ძველებური ამბავი აკაკისა	5 ,,
აპრამის და იოვის ლექსი	3 ,,
ოქრუა (ხალხური ზღაპარი)	5 ,,
ორი ძოსატყუილა **ბიჭია მენახირე** **მეფე და სკვინჩა** ხალხური ზღაპარი.	10 ,,

ვინც მოისურვებს ამ წიგნების სყიდვას ან დაბარებას, მიმართოს ტფილისში, ქვაშვეთის ქუჩაზე (ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ) არჯევანიძის სახ. **ანნა მერკვილაძის ქალთა ტანისამოსის სამკერვალო მაღაზიაში.**

ვინც თვითოეულ გამოცემას იყიდის არა ნაკლებ ერთი მანეთისა, **ყოველ მანეთზე დაეთმობა თითო აპაზი.**

ადრესი ფოსტისა: Тифлисъ, Георгіавская (Кашветская) ул., д. Аржеванидзе. № 12 модная мастерская Анны Мерквиладзе.

გამოვიდა და ისყიდება

ლედი ჯენ

ჯემსონის მოთხრობა სურათებით

სააღდგომო საჩუქრით

ვარაყიანის ყდით 1 მ.

იყიდება ჯეჯილის რედაქციაში და წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში

ჯეჯილის რედაქციაშივე ისყიდება 1897, 98 და 99 წლების **ჯეჯილი** თითო წლისა ორ მანათად.

გამოვიდა და ისყიდება ყველგან „ქართ. შორის წ.-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მიერ ახლად გამოცემული წიგნები:

1.

ქაჯანა

მოთხრობა ნ. ლომაურისა, ფასი 5 კაპ.

2.

ალი

მოთხრობა მისივე, ფასი 10 კაპ.

წიგნების გამოცემა შეიძლება ფასდადებითაც შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Общество распростр. грамотности.

დაიბეჭდა და დაურიგდა ქართულის წიგნის ყველა მაღაზიას გასასყიდათ ახალი ქართული წიგნი

„ჩვენს დედებს“

პედაგოგიური წერილები ალ. ნათაძისა.

ფასი 25 კაპ.

ადრესი: ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლა, ალ. ნათაძეს.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 3 мая 1903 г. Типографія „Гутенбергъ“ (кн. Гр. Діасамидзе) Дворцевая, д. Груз. Дворянства. რედაქტორ-გამომცემელი ა. ი. სარაჯიშვილი